

ინტელექტუალური სირთულის მქონე მოსწავლეთა განვითარების ხელშეწყობა

გზამკვლევი მშობლებისთვის



გზამკვლევა მუშაობდნენ:

ავტორები:

ლია ქურციკიძე, ბავშვთა და მოგარდთა ფსიქოლოგიური შეფასებისა და კონსულტირების მაგისტრი; ფსიქოლოგი.

შორენა ტყეშელაშვილი, ბავშვთა და მოგარდთა ფსიქოლოგიური შეფასებისა და კონსულტირების მაგისტრი; ფსიქოლოგი.

კონსულტანტი:

თამარ ისაკაძე, ფსიქოლოგიის მაგისტრი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მუльтиმედია ცენტრის მენეჯერი

იდეის ავტორი:

ეკატერინე დგებუაძე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური განვითარების სამმართველოს უფროსი

კორექტორი:

მარიამ ბედიანაშვილი

დიზაინერი:

მარიამ ჯიჭავაძე

დამკვეთი:

კესო მამფორია

გზამკვლევი შექმნილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის საინფორმაციო და მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში

2018

სარჩევი

თავი 1. ინტელექტუალური დარღვევის ზოგადი დახასიათება

1.1. რა არის ინტელექტუალური დარღვევა	12
1.2. ინტელექტუალური დარღვევის სახეები	14
1.3. ინტელექტუალური დარღვევის ნიშნები და თავისებურებები	17
1.4. ინტელექტუალური დარღვევის გამოწვევი მიზეზები და რისკფაქტორები	21
1.5. მითები და ფაქტები ინტელექტუალური დარღვევის შესახებ	22

თავი 2. ინტელექტუალური დარღვევის დიაგნოსტიკა

2.1. ადრეული იდენტიფიკაციისა და ჩარევის მნიშვნელობა	24
2.2. ვის უნდა მიმართოს ოჯახმა და როგორ ხდება დიაგნოსტიკა	27
☒ ინტელექტის შეფასება	
☒ ადაპტური ქცევის შეფასება	
2.3. ოჯახის მიერ დიაგნოზის მიღება	33
2.4. ოჯახის ფსიქოგანათლება	40

თავი 3. ინტელექტუალური დარღვევის მეორე ბავშვის დახმარება

3.1. როგორ გვეხმარებიან სპეციალისტები	42
---	----

თავი 4. ინტელექტუალური დარღვევის მქონე ბავშვთა განათლება

4.1. ინტელექტუალური დარღვევის მქონე ბავშვი სკოლაში	52
4.2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა	54
4.3. მშობლის როლი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში	56

თავი 5. როგორ დავეხმარეთ ბავშვს თუ მას ინტელექტუალური დარღვევა აქვს

5.1. ფუნქციური უნარ-ჩვევების სწავლების სტრატეგიები და აქტივობები მშობლისათვის	58
5.2. ქცევის სირთულეების მართვის ტექნიკები	61
5.3. აკადემიური უნარების განვითარების ხელშეწყობი სტრატეგიები და აქტივობები	66
5.4. შემეცნებითი უნარების განვითარების ხელშეწყობი სტრატეგიები და აქტივობები	83
5.5. მეტყველებისა და კომუნიკაციის ხელშეწყობი სტრატეგიები	95

შესავალი

მოცემული გზამკვლევი განკუთვნილია ინტელექტუალური დარღვევის მქონე ბავშვის მშობლებისთვის. მისი მიზანია აღნიშნულ მდგომარეობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი და ძირითადი საკითხების განხილვა.

როდესაც მშობელი იგებს დიაგნოზის არსებობის შესახებ, ბუნებრივია, რომ მას მრავალი კითხვა უჩნდება, აინტერესებს რა გამოწვევების წინაშე ბავშვი და როგორ უნდა დაეხმაროს მას.

გზამკვლევი ემსახურება მშობლის გაძლიერებას. მასში მოცემული სტრატეგიებისა და აქტივობების გამოყენებით, მშობელს თავად შეუძლია ხელი შეუწყოს ბავშვის განვითარების პროცესს.

გზამკვლევაში განხილული იქნება ინტელექტუალურ დარღვევასთან დაკავშირებული ისეთი ძირითადი საკითხები, როგორებიცაა:

- ☒ რა არის ინტელექტუალური დარღვევა, რამ შეიძლება გამოიწვიოს და როგორ ვლინდება ის;
- ☒ რა შემთხვევაში შეიძლება გაუჩნდეს მშობელს ეჭვი ინტელექტუალური დარღვევის არსებობის თაობაზე;
- ☒ როგორ ხდება დიაგნოსტიკა და ვის უნდა მიმართოს მშობელმა;
- ☒ რა სახის ჩარევის განხორციელება არის შესაძლებელი ინტელექტუალური დარღვევის შემთხვევაში;

- ☑ რა როლს თამაშობს სკოლა ინტელექტუალური დარღვევის მქონე მოსწავლის განვითარების ხელშეწყობაში;
- ☑ როგორ შეუძლია მშობელს დაეხმაროს ბავშვს სხვადასხვა უნარის განვითარებაში.

გზამკვლევი, ასევე, შესაძლოა გამოიყენოს ნებისმიერმა პირმა, რომელიც დაინტერესებულია ინტელექტუალური დარღვევის შესახებ ინფორმაციის მიღებით (ოჯახის წევრი, მასწავლებელი, ფსიქოლოგი და სხვა სპეციალისტი).

თავი 1.

ინტელექტუალური დარღვევის ზოგადი დახასიათება

მოცემულ თავში აღწერილია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა არის და როგორ ვლინდება ინტელექტუალური დარღვევა. ასევე, მიმოვიხილავთ ინტელექტუალური დარღვევის ოთხ ძირითად ფორმას. ვისაუბრებთ იმაზე, შესაძლებელია თუ არა გამოწვევი მიზეზების პოვნა. ხოლო, ბოლო ნაწილში ვიმსჯელებთ თუ რამდენად სწორია ინტელექტუალური დარღვევის შესახებ საზოგადოებაში გავრცელებული მოსაზრებები.

ინტელექტუალურ დარღვევას არსებობის დიდი ხსნის ისტორია აქვს, თუმცა წლების განმავლობაში იცვლებოდა ადამიანების ხედვა, დამოკიდებულება და ცოდნა აღნიშნული მდგომარეობის მიმართ. ამ ცვლილებებს საუკეთესოდ ასახავს ის ტერმინოლოგია, რომლის გამოყენებითაც მოიხსენიებდნენ ინტელექტუალური დარღვევის მქონე ადამიანს ამა თუ იმ პერიოდში.

მე-20 საუკუნის შუა პერიოდში დამკვიდრდა ტერმინი „გონებრივი ჩამორჩენა“, რომელმაც ჩანაცვლა მანამდე არსებული ნეგატიური შინაარსის მქონე ფრაზები. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში აღნიშნული

ტერმინი დღემდე გამოიყენება და, ასევე, რჩება რიგ სამედიცინო და ფსიქიატრიულ ლიტერატურაში, ის მაინც არის სტიგმისა და ნეგატიური შინაარსის შემცველი. ამ კუთხით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამერიკის შეერთებულ შტატებში წამოწყებული კამპანიამ R-word, სადაც R - retardation აღნიშნავს „ჩამორჩენას“. აღნიშნული კამპანია მიზნად ისახავს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა მდგომარეობების მიმართ. მასში ჩართულია ათასობით ადამიანი მთელი მსოფლიოდან სხვადასხვა დიაგნოზებითა და მდგომარეობებით (www.r-word.org). ისინი საკუთარი ისტორიების გაზიარებით ცდილობენ ხელი შეუწყონ სწორი დამოკიდებულებებისა და ჰუმანური ტერმინების დამკვიდრებას. საბოლოოდ, 2009 წელს ბარაკ ობამამ მიიღო კანონი („როზას კანონი“), რომლის მიხედვითაც „გონებრივი ჩამორჩენა“ შეიცვალა ფრაზით „ინტელექტუალური დარღვევა“. დღეისათვის გამოიყენება შემდეგი ტერმინები: „ინტელექტუალური დარღვევა“, „ინტელექტუალური განვითარების დარღვევა“, „განვითარების ზოგადი შეფერხება“ ან „განვითარების შეფერხება“. თითოეული მათგანი ერთსა და იმავე მდგომარეობას აღნიშნავს, თუმცა „განვითარების შეფერხება“ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი არის 5 წლამდე ასაკის და მისი განვითარება არ შეესაბამება ასაკობრივ ნორმას. მაგალითად, გვიან იწყებს საუბარს ან

სიარულს. ზოგიერთი ბავშვის შემთხვევაში შესაძლოა ექვი გაჩნდეს დაბადებისთანავე, მაგალითად, თუ გამოვლინდა კვებასთან დაკავშირებული განსაკუთრებული სირთულეები ან კუნთთა უჩვეულო ტონუსი. ხოლო, ზოგიერთ შემთხვევაში, განვითარებასთან დაკავშირებული ექვები მხოლოდ მაშინ ჩნდება, როდესაც ბავშვი სკოლაში მიდის და ვლინდება სწავლასთან ან ქცევებთან დაკავშირებული სირთულეები.

ინტელექტუალური დარღვევის გამოხატულებები განსხვავდება თითოეული ბავშვის შემთხვევაში. ის დამოკიდებულია როგორც მასთან ერთად სხვა დიაგნოზის არსებობაზე, ასევე, თავად ბავშვის უნიკალურ პიროვნულ მახასიათებლებზე. თუ ბავშვს განვითარების შეფერხების დიაგნოზი აქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი უნარები რამდენიმე სფეროში მოსალოდნელზე ნაკლებად არის განვითარებული. თუმცა, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ განვითარების შეფერხება ავტომატურად არ გულისხმობს შემდეგში ინტელექტუალური დარღვევის დიაგნოზს.

5 წლიდან ზემოთ ასაკის ადამიანების შემთხვევაში, რომლებსაც აღენიშნებათ სირთულეები ინტელექტუალური და ადაპტური ფუნქციონირების კუთხით, გამოიყენება ტერმინი „ინტელექტუალური დარღვევა“.

1.1. რა არის ინტელექტუალური დარღვევა

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ ინტელექტუალური დარღვევა არ არის დაავადება. ის არის მდგომარეობა, რომლის გამოვლინებები შეიძლება შეიცვალოს მხარდაჭერისა და თერაპიული ჩარევის საშუალებით.

ინტელექტუალური დარღვევა ვლინდება ბავშვობის პერიოდში და გულისხმობს ერთდროულად ორი სფეროს, ინტელექტუალური და ადაპტური ფუნქციონირების, დეფიციტს. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ინტელექტუალური ფუნქციონირება დაკავშირებულია ისეთი უნარების სირთულეებთან, როგორებიცაა: მსჯელობა, პრობლემის გადაჭრა, დაგეგმვა, ლოგიკური და აბსტრაქტული აზროვნება და აკადემიური უნარები.

ინტელექტის შეფასება ხდება სხვადასხვა ტესტებით, რომელთა შედეგების დათვლით მიიღება IQ ანუ ინტელექტის კოეფიციენტი. აღნიშნული ტესტები მოიცავს ისეთი უნარების შეფასებას, როგორებიცაა: კითხვა, არითმეტიკა, ლექსიკა, მეხსიერება, ზოგადი ცოდნა, ვიზუალური და ვერბალური უნარები, აბსტრაქტული აზროვნება და ა.შ.

ადაპტური ფუნქციონირება გულისხმობს იმ ქცევებს, რომლებიც აუცილებელია, ასაკის შესაბამისად, დამოუკიდებლად ცხოვრების, უსაფრთხოდ ფუნქციონირებისა და სხვადასხვა ყოველდღიური აქტივობების განხორციელების პროცესში. ადაპტური ქცევები შეგვიძლია შემდეგნაირად დავყოთ:

- ☑ კონცეპტუალური უნარები: წერა, კითხვა, თხრობა, მათემატიკური აზროვნება, ზოგადი ცოდნა და მეხსიერება;
- ☑ სოციალური უნარები: თვითშეფასება, წესების ცოდნა და დაცვა, პრობლემის გადაჭრის უნარი, სოციალური სიტუაციისა და კონტექსტის გაგება;
- ☑ პრაქტიკული უნარები: ფულის, საათისა და ტრანსპორტის გამოყენება, უსაფრთხოების წესების დაცვა, ჯანმრთელობის დაცვა, ჰიგიენა და თვითმოვლის უნარ-ჩვევები, ტელეფონისა და სხვა საჭირო ტექნიკის გამოყენება, სასკოლო და საშინაო დავალებების ორგანიზება.

მარტივად რომ ვთქვათ, ადაპტური უნარები დაკავშირებულია ისეთ ყოველდღიურ აქტივობებთან, როგორებიცაა კომუნიკაცია, სოციალურ ჩართულობა და დამოუკიდებლად ფუნქციონირება.

განვიხილოთ ასეთი მაგალითი:



ბექა ოთხი წლისაა. ის ჯერ კიდევ ვერ ახერხებს დამოუკიდებლად სიარულს, თუმცა, ფიზიკური დახმარებით, შეუძლია ნაბიჯების გადადგმა. ბექა ცნობს ოჯახის თითოეულ წევრს. მას უჭირს გაჩვენოთ სად არის მისი ცხვირი, ყური, თითები. ამბობს ცალკეულ ბგერებს, როგორიცაა, მაგალითად, ბა-ბა-ბა, მაგრამ ვერ ამბობს სიტყვებს. ბექას საპირფარეშოს ჩვევები არ აქვს გამომუშავებული. მშობლები ამბობენ, რომ ის ერთი წლის ასაკის ბავშვივითაა.

აღნიშნული მაგალითიდან კარგად ჩანს, რომ ბექას აქვს როგორც ინტელექტუალური (მეტყველება, სხეულის ნაწილების ცნობა), ასევე ადაპტური ფუნქციონირების (სიარული, ტუალეტის დამოუკიდებლად გამოყენება) სირთულეები.

1.2. ინტელექტუალური დარღვევის სახეები

არსებობს ინტელექტუალური დარღვევის რამდენიმე სახე. იმის მიხედვით, თუ როგორია ინტელექტუალური შეფერხება, სოციალური და ადაპტური სფეროს ფუნქციონირების სირთულე, ერთმანეთისაგან განასხვავებენ

ინტელექტუალური დარღვევის 4 სახეს. თითოეული ხარისხი განსაზღვრავს, თუ რამდენად ძლიერია ბავშვის ინტელექტუალური და ადაპტური სირთულეები და, ასევე, რა ტიპის დახმარება ესაჭიროება მას ფუნქციონირებისთვის: პერიოდული, მცირე, ძლიერი თუ ყოვლისმომცველი. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია ინტელექტუალური დარღვევის ფორმებისა და შესაბამისი დახმარების სახეების შესახებ:

ფორმა	გავრცელების სიხშირე	დახმარების ტიპი	IQ
მსუბუქი	85%	პერიოდული	55-70
საშუალო	10%	მცირე	40-55
ძვირძე	3-4%	ძლიერი	25-40
ღრმა	1-2%	ყოვლისმომცველი	< 40

მსუბუქი ფორმა ინტელექტუალური დარღვევის მქონე პირების 80%-ში აღინიშნება. დარღვევის ამ ფორმის არსებობის შემთხვევაში ბავშვის განვითარება, ნორმასთან შედარებით, ნელა მიმდინარეობს. თუმცა, საბავშვო ბაღის დასრულების ან სკოლის დაწყებამდე, შესაძლოა პრობლემა შეუმჩნეველი დარჩეს. ინტელექტუალური დარღვევის მსუბუქი ფორმის შემთხვევაში ბავშვს უჭირს აბსტრაქტული შინაარსების წვდომა, ანალიზი

და სინთეზი, მაგრამ შეუძლია დაეუფლოს წერას, კითხვას, მათემატიკურ და სხვა აკადემიურ უნარებს. ინტელექტუალური დარღვევის მსუბუქი ფორმის შემთხვევაში ბავშვს განვითარებული აქვს თვითმოვლის ძირითადი უნარები, თუმცა, საჭიროებს უფროსი ადამიანის პერიოდულ დახმარებას უფრო რთულ სიტუაციებში.

საშუალო სიმძიმის ინტელექტუალური დარღვევის დროს სირთულეები უფრო ადრე იჩენს თავს, ვიდრე წინა შემთხვევაში. ბავშვს აქვს მეტყველების, კომუნიკაციისა და ახალი ინფორმაციის ათვისების სირთულეები. ინტელექტუალური დარღვევის საშუალო ფორმის დროს ბავშვი საჭიროებს ნაწილობრივ დახმარებას როგორც აკადემიური და შემეცნებითი, ასევე ყოველდღიური ფუნქციონირების კუთხით.

მძიმე ფორმა ადრეულ ასაკშიც შესამჩნევია და თითქმის ყველა სფეროს მოიცავს. ინტელექტუალური დარღვევის მძიმე ფორმის მქონე ბავშვს სჭირდება უფროსის მუდმივი ჩართულობა და დახმარება თითქმის ყველა სიტუაციაში.

ღრმა ინტელექტუალური დარღვევის დროს ბავშვს არ შეუძლია თავის მოვლა, აქვს ძალიან მწირი ლექსიკური მარაგი ან, შესაძლოა, ვერ საუბრობდეს. ემოციების გამოხატვა, გაგება, შემეცნებითი უნარები და ზოგადი ცოდნა არის საგრძნობლად შეზღუდული. ხშირია ფიზიკური ან

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემები. ინტელექტუალური დარღვევის ღრმა ფორმის შემთხვევაში ბავშვი უფროსის მხრიდან საჭიროებს ყოვლისმომცველ და მუდმივ დახმარებას.

1.3. ინტელექტუალური დარღვევის ნიშნები და თავისებურებები

ინტელექტუალური დარღვევის ნიშნები, ხშირ შემთხვევაში, ადრეულ ასაკშიც ვლინდება, ამიტომ, მნიშვნელოვანია მათზე ყურადღების გამახვილება. 5 წლამდე გამოვლენილმა შემდეგი სახის სირთულეებმა შესაძლოა მიგვანიშნოს ინტელექტუალური დარღვევის არსებობის რისკზე:

- ☒ ბავშვი აგვიანებს ან დიდი დრო სჭირდება ხოხვის, ჯდომისა და სიარულის სწავლისთვის;
- ☒ ბავშვი აგვიანებს სიტყვების წარმოთქმას და შემდგომშიც აღენიშნება სიტყვათა მარაგისა და მარტივი წინადადებების წარმოთქმის პრობლემა;
- ☒ ბავშვს აქვს ყურადღების კონცენტრირების სირთულე, გაფანტულია (ყურადღების პრობლემის გამო უჭირს კონსტრუქციული და სამაგიდო თამაშებში ჩართვა);
- ☒ უჭირს წესებისა და ინსტრუქციების გაგება;
- ☒ ვლინდება ქცევითი და სოციალური სფეროს პრობლემები;

☒ ვერ ან გვიან ითვისებს თვითმოვლის ჩვევებს, როგორცაა ჩაცმა, გახდა, კვებასთან და საპირფარეშოს მოხმარებასთან დაკავშირებული უნარები.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ თითოეულ ბავშვს განვითარების ინდივიდუალური ტემპი აქვს. ზოგიერთი ბავშვი ამა თუ იმ უნარს გვიან გამოიმუშავებს, მაგრამ შემდგომში სწრაფად განავითარებს და უტოლდება ნორმას. თუმცა, თუ ბავშვის განვითარებაში გადელევით რაიმე ასპექტი, უმჯობესია თქვენი ექვები სპეციალისტთან გადაამოწმოთ.

განვიხილოთ ინტელექტუალური დარღვევის სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები:

ენა/მეტყველება - უმეტეს შემთხვევაში, ბავშვებს, რომლებსაც აქვთ ინტელექტუალური დარღვევა, ადრეულ ასაკში აღენიშნებათ ენის განვითარების შეფერხება: უჭირთ საუბარი, საკუთარი სურვილებისა და აზრების გამოხატვა. მისი სირთულის ხარისხი დამოკიდებულია ინტელექტუალური დარღვევის ფორმაზე.

აღქმა - ინტელექტუალური დარღვევის არსებობისას ბავშვებს უჭირთ მცირე დეტალების, ფერის, ფორმის ან ზომის მიხედვით საგნების განსხვავება. გარემოში არსებული სტიმულების აღქმისა და მათზე რეაგირების პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობს.

კოგნიცია - იმ უნარების ერთობლიობა, რომელიც გვებმარება სამყაროს შემეცნებაში. ინტელექტუალური დარღვევის ხარისხების მიხედვით განსხვავებულია ამ სფეროში არსებული პრობლემების სიმძიმეც. მსუბუქი ფორმის შემთხვევაში უფრო მეტადაა განვითარებული ისეთი უნარები, როგორებიცაა: ანალიზი, სინთეზი, მსჯელობა, აბსტრაქტული აზროვნება, მათემატიკური, კითხვის, წერის უნარები და ა.შ. ინტელექტუალური დარღვევის მძიმე ფორმის არსებობის შემთხვევაში ვლინდება აღნიშნული უნარების დეფიციტი.

მეხსიერება და ყურადღება - ინტელექტუალური დარღვევის მქონე ბავშვებს შესაძლოა ჰქონდეთ ყურადღების კონცენტრირების სირთულეები, ახალი ინფორმაციის დამახსოვრებისათვის დასჭირდეთ დიდი დრო და ხშირი გამეორება.

ემოციური სფერო - მისი განვითარება, უმეტეს შემთხვევაში, ჩამორჩება ასაკობრივ დონეს. ემოციურ სფეროში არსებული პრობლემები შესაძლოა განაპირობებდნენ იმპულსის კონტროლის, თვითრეგულაციისა და ქცევის სირთულეებს (საკუთარი თავის ან სხვების დამაზიანებელი ქცევები).

მოძრაობა - მოძრაობასთან დაკავშირებული პრობლემები, უმეტესწილად, გამოიხატება კოორდინაციის

და ბალანსის შენარჩუნების სირთულეებით, რის გამოც უფროსები ხშირად აღნიშნავენ, რომ ბავშვი მოუხერხებელია. ინტელექტუალური დარღვევის მძიმე და ღრმა ფორმების არსებობის შემთხვევაში ხშირია სტერეოტიპული მოქმედებები (ხელების მოძრაობა, თავის ქნევა, კბილების კრაჭუნი, ტანსაცმლის წვალება და ა.შ.).

სენსორული სირთულეები - ინტელექტუალური დარღვევის მქონე ბავშვების 5-10%-ში სენსორული სირთულეები გვხვდება. ის დაკავშირებულია შეგრძნების სხვადასხვა ორგანოებიდან (შეხება, მხედველობა, ყნოსვა, სმენა, გემო) ინფორმაციის მიღებისა და გადამუშავების სირთულეებთან.

1.4. ინტელექტუალური დარღვევის გამოწვევი მიზეზები და რისკფაქტორები

ხშირ შემთხვევაში, ინტელექტუალური დარღვევის გამომწვევი კონკრეტული მიზეზის იდენტიფიცირება შეუძლებელია. თუმცა, არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომლებმაც შეიძლება განაპირობონ აღნიშნული მდგომარეობა:

- ☒ გენეტიკური ფაქტორები (მაგ: ქრომოსომული დარღვევები, მათ შორის მყიფე იქს სინდრომი);
- ☒ გარემოში არსებული მიზეზები (მაგ: ალკოჰოლის ჭარბად მოხმარება, ტერატოგენები და მუცლადყოფნის დროს არსებული ინფექციები);
- ☒ ტვინის ტრავმული დაზიანება;
- ☒ დაბადების დროს არსებული ტრავმები;
- ☒ ბავშვის უგულვებელყოფა, რაც შეიძლება გამოხატული იყოს კვების დეფიციტით ან არასაკმარისი სამედიცინო დახმარებით;
- ☒ ჯანმრთელობის მდგომარეობების გაუარესება, მაგ: მენინგიტის, წითელას ან ყივანახველას გამწვავება.

1.5. მითები და ფაქტები ინტელექტუალური დარღვევის შესახებ

 **მითია**, რომ ინტელექტუალური დარღვევის მქონე ბავშვს არ შეუძლია სიარული და ლაპარაკი.

 **ფაქტია**, რომ ინტელექტუალური დარღვევის მქონე ბავშვების უმეტესობას შეუძლია მოძრაობა, მეტყველება და ყველა მათგანი ახერხებს ურთიერთობას სხვებთან რაიმე გზით.

 ინტელექტუალური დარღვევის 85 % მსუბუქი ფორმით, ხოლო მხოლოდ 10 % პროცენტი მძიმე სახით ვლინდება.

 იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც არსებობს მეტყველების მნიშვნელოვანი პრობლემები, ბავშვები კომუნიკაციისათვის იყენებენ ქესტებს ან სხვა არავერბალურ საკომუნიკაციო საშუალებებს.

 **მითია**, რომ ინტელექტუალური დარღვევის მქონე ბავშვს არ შეუძლია სწავლა.

 **ფაქტია**, რომ ყველა ბავშვს შეუძლია რაიმეს სწავლა თავისი ტემპით და შესაძლებლობების მიხედვით.

 პოზიტიური გარემოს შექმნა ეხმარება ბავშვს სწავლაში და შედეგად უფრო სწრაფად დგება.

 ბავშვი სწავლების პროცესში უფრო მეტ შედეგს აღწევს

თუ მშობელი ეხმარება და მხარს უჭერს მას, ხაზს უსვამს ბავშვის ძალისხმევას და არა მის უნარებს.

 **მითია**, რომ ინტელექტუალური დარღვევის მქონე ადამიანი მთელი ცხოვრება სხვაზე უნდა იყოს დამოკიდებული.

 **ფაქტია**, რომ დღეს ინტელექტუალური დარღვევის მქონე გაცილებით მეტი ადამიანია დასაქმებული, ვიდრე ოდესმე ყოფილა.

 ინტელექტუალური დარღვევის მქონე მრავალი ადამიანი არის ათლეტი და წარმატებული სპორტული კარიერა აქვს.

 ინტელექტუალური დარღვევის მქონე ადამიანების ნახევარი დაქორწინებულია და მათ მეოთხედზე მეტს ჰყავს შვილები.

 **მითია**, რომ ინტელექტუალური დარღვევის მქონე ბავშვის ყოლა ოჯახისათვის ძალიან მძიმე ტვირთია.

 **ფაქტია**, რომ მიუხედავად თავდაპირველი სტრესისა, ოჯახები იოლად ადაპტირდებიან ბავშვის საჭიროებებთან და ცდილობენ მისთვის საუკეთესოს ისე, როგორც ნებისმიერი ბავშვის მშობელი.

თავი 2.

ინტელექტუალური დარღვევის დიაგნოსტიკა

მოცემულ თავში ვისაუბრებთ ადრეული იდენტიფიკაციისა და ჩარევის მნიშვნელობაზე, ვის უნდა მიმართოს ოჯახმა და როგორ ხდება დიაგნოსტიკის პროცესი, დიაგნოზის გაგების შემდგომ მშობლის ემოციებსა და განცდებზე. ასევე, შევხებით თუ რა არის ფსიქოგანათლება და რამდენად მნიშვნელოვანია ის.

2.1. ადრეული იდენტიფიკაციისა და ჩარევის მნიშვნელობა

ბავშვის განვითარების სირთულეებზე საუბრისას ადრეული იდენტიფიკაცია და ჩარევა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. ადრეული იდენტიფიკაცია გულისხმობს პრობლემის საწყის ეტაპზე აღმოჩენასა და დადგენას, რაც შემდგომში უზრუნველყოფს შესაბამის ადრეულ ინტერვენციას - ჩარევასა და პროცესის მართვას მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. აღსანიშნავია, რომ სიტყვა „ადრეულში“ აუცილებლად არ იგულისხმება ბავშვის ცხოვრების ადრეული წლები. აქ აქცენტი კეთდება გამოვლენილი სირთულეების სწრაფად შემჩნევაზე,

რეაგირებასა და მყისიერ ჩარევაზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროცესის პირველი საფეხური პრობლემის აღმოჩენაა, ამიტომ მნიშვნელოვანია სავარაუდო ინტელექტუალური დარღვევის ადრეული ნიშნების ცოდნა. ინტელექტუალური დარღვევის მქონე ბავშვებს, შესაძლოა, პრობლემები განვითარების არაერთ სფეროში ჰქონდეთ. ეს სირთულეებია:

ინტელექტუალური დარღვევის ადრეული ნიშნები

ჯდომის, ხოხვის, დგომის, სიარულისა და ლაპარაკის შეყოვნებული განვითარება;
ინფანტილური ქცევები, მაგალითად ასაკისათვის შეუსაბამო მეცყველება ან ქცევა;
სოციალური წესებისა და ჩვეულებების გაგების სირთულე (მაგალითად, რიგის დაცვა, საკუთარი ჯერის დალოდება და ა.შ.);
საფრთხის შემცველი სიტუაციების სათანადოდ შეფასების სირთულე (მაგალითად, ცხელ გაზქურაზე შეხება და ა.შ.);
ცნობისმოყვარეობისა და ინტერესის ნაკლებობა გარემოს მიმართ;
ახალი ინფორმაციისა და უნარების ათვისების სირთულე, მიუხედავად მრავალი მცდელობისა და გამეორების;
მარტივი პრობლემების გადაჭრის სირთულე, მაგალითად: სასურველი ნივთის აღება, რომელიც თაროზე დევს.
მეხსიერების პრობლემები (უჭირს დამახსოვრება);
სასწავლო მოთხოვნებთან გამკლავების სირთულეები;
შესაძრწველი ქცევითი პრობლემები, რომლებიც გამოწვეულია ემოციებისა და იმპულსის კონტროლის სირთულით;
საკუთარი ქმედებების შედეგების გათვლის სირთულეები;
ლოგიკური კავშირების დამყარების პრობლემა;

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ყველა ბავშვის განვითარების ტემპი განსხვავებულია. ზოგ შემთხვევაში, პროცესი მიმდინარეობს ნელა, მაგრამ შემდგომში ეწევიან თანატოლების განვითარებას. თუმცა, თუ მშობელს აქვს გარკვეული ეჭვები ბავშვის სოციალურ, ემოციურ, ფიზიკურ თუ ინტელექტუალურ განვითარებასთან დაკავშირებით, აუცილებელია ამის შესახებ ესაუბროს ბავშვის ექიმს, მასწავლებელს, სხვა სპეციალისტს. პრობლემის ადრეული იდენტიფიცირება დაეხმარება ბავშვს მიიღოს შესაბამისი მხარდაჭერა და დროული ინტერვენცია. ადრეულ ინტერვენციას აქვს პრევენციული ეფექტი ანუ ბავშვი იღებს დახმარებას მანამ, სანამ არსებული სირთულეები გახდება:

- ✿ სხვა მნიშვნელოვანი უნარების განვითარებისთვის ხელისშემშლელი;
- ✿ უფრო მწვავე;
- ✿ სხვა ახალი სირთულეების მიზეზი;
- ✿ გახდება ყოვლისმომცველი.


ადრეული წლები არის ბავშვის განვითარების კრიტიკული პერიოდი. სწორედ ამ დროს აქტიურად მიმდინარეობს ტვინის განვითარების პროცესი და, შესაბამისად, განსაკუთრებით მიმდებია მხარდამჭერი გარემოსა და თერაპიული ჩარევის. ადრეული ინტერვენცია არის

ბავშვის საუკეთესო მომავალზე ზრუნვა. ადრეული მხარდაჭერა შესამჩნევად ზრდის ინდივიდის შესაძლებლობებს, რათა უკეთ ინტეგრირდეს სხვადასხვა სოციალურ სიტუაციებში (მაგალითად, სახლი, სამეზობლო, სკოლა და ა.შ.).

2.2. ვის უნდა მიმართოს ოჯახმა და როგორ ხდება დიაგნოსტიკა

სირთულეების არსებობის შემთხვევაში მშობელმა აუცილებელია მიმართოს პედიატრს, რომელიც, პირველ რიგში, გაერკვევა ბავშვის სამედიცინო ისტორიაში, შეამოწმებს პაციენტს და შეაფასებს მას განვითარების სტანდარტთან მიმართებით. საჭიროებიდან გამომდინარე ან სხვადასხვა გამომწვევი მიზეზების გამორიცხვის მიზნით, პედიატრი გადაამისამართებს შესაბამის პროფესიონალთან. ეს შეიძლება იყოს ნევროლოგი, გენეტიკოსი, სმენის ან მხედველობის სპეციალისტი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი და ა.შ. საბოლოოდ, ინტელექტუალური დარღვევის დიაგნოზის დასმა ხდება ფსიქიატრის მიერ.

სპეციალისტის მიერ ბავშვის შეფასებისა და დიაგნოსტიკის პროცესი ეტაპობრივად შემდეგნაირად გამოიყურება:



დიაგნოსტიკის პროცესის მნიშვნელოვანი საფეხურია ინტელექტისა და ადაპტური ქცევის შეფასება. საერთაშორისო კლასიფიკაციის სისტემების (DSM-V და ICD-10) მიხედვით, იმისათვის რომ ინტელექტუალური დარღვევის დიაგნოზი დაისვას, აუცილებელია მდგომარეობა აკმაყოფილებდეს 3 ძირითად კრიტერიუმს:

საშუალოზე მნიშვნელოვნად დაბალი ინტელექტუალური ფუნქციონირება (70-ზე დაბალი ინტელექტის IQ კოეფიციენტი)

თანხლები დეფიციტი ადაპტური ფუნქციონირებისა ქვემოთ ჩამოთვლილ მინიმუმ 2 სფეროში: კომუნიკაცია, თვით-მოვლა, სახლის მოვლა (home living), სოციალური და ინტერპერსონალური უნარები, საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩვევები, თვითმართვა, ფუნქციონალური აკადემიური უნარ-ჩვევები, სამსახური, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება;

უნდა ვლინდებოდეს 18 წლამდე;

ინტელექტის შეფასება

ინტელექტუალური შესაძლებლობების შეფასება ხდება სტანდარტიზებული ტესტების მიხედვით:

- ☀ ვექსლერის ინტელექტის სკალა ბავშვებისთვის - V (Wechsler Intelligence Scale in Children – V (WISC-V))
- ☀ ვექსლერის სკალა სკოლამდელი და დაწყებითი ასაკის ბავშვებისთვის (Wechsler Preschool and Primary Scale of Intelligence (WPPSI))

 სტენფორდ-ბინეს ინტელექტის სკალები - V (Stanford-Binet Intelligence Scales - V)

ინტელექტის ტესტს, ძირითადად, ატარებენ ფსიქოლოგები. ეს ინსტრუმენტები შექმნილია ბავშვის ზოგადი ინტელექტუალური შესაძლებლობების შესაფასებლად და მოიცავს ვერბალურ და არავერბალურ სუბტესტებს. ინტელექტუალური დარღვევის მქონე ბავშვებს აქვთ დეფიციტი ორივე სფეროში, თუმცა შესაძლებელია, რომ ეს არ იყოს ერთი და იმავე ხარისხით. მთლიანი ტესტის IQ ქულა მიიღება ვერბალური და არავერბალური ქულების ერთობლიობით.

ვექსლერის ინტელექტის ტესტი შეიცავს შემდეგ ინდექსებს: ვერბალური გაგების ინდექსი, ვიზუალურ-სივრცითი უნარების ინდექსი, თავისუფალი მსჯელობის ინდექსი (fluid reasoning), მუშა მეხსიერებისა და ინფორმაციის გადამუშავების სიჩქარის ინდექსი.

ამ ტესტების ჩატარება, დაახლოებით, ორი წლის ასაკიდან უკვე შესაძლებელია, თუმცა აღსანიშნავია, რომ ინტელექტის ტესტის შედეგები უფრო სტაბილური ხდება 5 წლის ასაკის შემდეგ. ინტელექტუალური დარღვევის დიაგნოზის დასმა არ არის ცალსახა, ხისტი და სწორ-ხაზოვანი პროცესი. შესაძლებელია საჭირო გახდეს რამდე-

ნიმე ვიზიტი სრული შეფასებისთვის და გარკვეული დროის შემდეგ კვლავ გადაფასება.

ადაპტური ფუნქციონირების შეფასება

ადაპტური ფუნქციონირების შეფასება ხდება კითხვარების შედეგად. ყველაზე გავრცელებული კითხვარებია:

 ვაინლენდის ადაპტური ქცევის სკალა (Vineland Adaptive Behavior Scales);

 ადაპტური ქცევის შეფასების სისტემა (Adaptive Behavior Assessment System);

კითხვარებს, ძირითადად, ფსიქოლოგები ატარებენ და ინფორმაციას იღებენ მშობლების ან ბავშვის მეურვეებისგან. ისინი კითხვარის საშუალებით აღწერენ იმ უნარებსა და ქცევებს, რომელსაც ბავშვი იყენებს ყოველდღიურად, რათა იზრუნოს საკუთარ თავზე და შეეგუოს გარშემომყოფებს. Vineland II-ში, ქცევის ეს მოდელები და უნარები ორგანიზებული 4 ძირითად მიმართულებად: კომუნიკაცია, ყოველდღიური ცხოვრება, სოციალური ჩვევები და უნარები, ურთიერთობები და ფიზიკური აქტივობები. ადაპტური ფუნქციონირების თითოეული სფერო მოიცავს აგრეთვე შედარებით ვიწრო უნარებს.

კომუნიკაცია	☆ მოსმენა და გაგება ☆ საუბარი ☆ კითხვა და წერა
ყოველდღიური ცხოვრება	☆ თვითმოვლა ☆ სახლის მოვლა ☆ საზოგადოებაში ცხოვრება
სოციალური უნარები და ურთიერთობა	☆ სხვებთან დამოკიდებულება ☆ თამაში და თავისუფალი დროის გამოყენება ☆ შეგუება/ადაპტაცია
ფიზიკური აქტივობები	☆ მსხვილი მოტორული უნარები ☆ ნატიფი მოტორული უნარები

Vineland II-ის კვლევის შედეგების მიხედვით, გამოიყოფა 5 ადაპტური დონე - დაბალი, საშუალოზე დაბალი, საშუალო, საშუალოზე მაღალი და მაღალი - რომელიც განსაზღვრავს ბავშვის ადაპტური ქცევისა და უნარების დონეს იმავე ასაკის სხვა ბავშვებთან შედარებით.

ამასთანავე, Vineland II შეიცავს პუნქტებს პრობლემურ ქცევებთან დაკავშირებით, რომელთა დადგენაც ასევე მშობელთან ინტერვიუს საფუძველზე ხდება.

უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის გთავაზობთ კონკრეტული სფეროს რამდენიმე შეკითხვას:

სფერო : სოციალიზაცია ქვესფერო: სხვებთან ურთიერთობა

ამყარებს ან ცდილობს დაამყაროს სოციალური ურთიერთობები (მაგალითად, ილიმის, ხელს უქნევს, ესაუბრება და ა.შ.);

ინევს ნაცნობი ადამიანისკენ, როდესაც ის ხელს გაუწოდებს;

გამოხადებს სიყვარულს ნაცნობი ადამიანების მიმართ (მაგალითად, ეხება, ეხუცება, კოცნის, ეფერება და ა.შ.)

ინტელექტისა და განვითარების დარღვევების ამერიკის ასოციაცია (AAIDD) ინტელექტუალურ დარღვევას განსაზღვრავს შემდეგნაირად: „შესამჩნევი სირთულეები ინტელექტის ფუნქციონირებასა და ადაპტურ ქცევებში, რომელიც აუცილებლად 18 წლამდე ვლინდება“.

2.3. ოჯახის მიერ დიაგნოზის მიღება

დიაგნოსტიკაზე ბავშვის მიყვანა გარკვეულწილად იმის მიმანიშნებელია, რომ მშობელს გაცნობიერებული აქვს თავისი შვილის სირთულეები. ის ცდილობს არსებული პრობლემების მიზეზის გარკვევას. მიუხედავად ამისა, ინტელექტუალური დარღვევის თუ სხვა დიაგნოზის დადასტურება სპეციალისტის მხრიდან მათთვის ძლიერ სტრესულია.

ბავშვის დაბადებისას მშობლებს აქვთ გარკვეული მოლოდინები, იმედები, ოცნებები, გეგმები და წარმოდგენები შვილის სამომავლო ცხოვრებაზე. დიაგნოზის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ მათ ცხოვრებაში შესაძლოა დადგეს კრიზისის პერიოდი. მრავალი კვლევა არსებობს იმასთან დაკავშირებით თუ რას განიცდიან მშობლები. ხშირ შემთხვევაში ეს ემოციებია: უსუსურობის, მარტოობის, დანაშაულის, შფოთვის, სინანულის, იმედგაცრუებისა და მწუხარების განცდა.

მწუხარება შედგება სხვადასხვა მდგომარეობებისგან, რომელიც საკუთარი თავის შემოწმების საშუალებას იძლევა, რასაც საბოლოოდ მივყავართ შინაგანი და გარეგანი ცვლილებებისკენ. ეს პროცესებია: უარყოფა, შფოთვა, შიში, დანაშაულის განცდა, დეპრესია და ბრაზი. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ეს არის მდგომარეობები და არა თანმიმდევრული ეტაპობრივი პროცესები. უარყოფა არის ყოველთვის პირველი ემოცია, მაგრამ მან შესაძლოა შემდგომში არაერთხელ იჩინოს თავი. ხშირია შემთხვევები, როდესაც მშობელი რამდენიმე ემოციას ერთდროულად განიცდის.

მწუხარებასთან გამკლავება არის მნიშვნელოვანი და ცენტრალური პროცესი სამომავლოდ როგორც ბავშვის, ასევე მშობლის კარგად ყოფნისთვის. ამ მდგომარეობისთვის წინააღმდეგობის გაწევა, საკუთარი ემო-

ციების შეკავება შესაძლოა გახდეს უამრავი სირთულის წარმოშობისა და გაღრმავების საფუძველი. იმისთვის, რომ მშობელმა შექმნას ახალი, საჭირო და შესაბამისი მიზნები ბავშვთან მიმართებით, აუცილებელია ის გადიოდეს მწუხარების ამ მდგომარეობებს როგორი სახითა და თანმიმდევრობითაც არ უნდა ვლინდებოდეს ის.

სევდა და იმედგაცრუება დაკავშირებულია მათი ოცნებების მოლოდინებისა და წარმოდგენების ცვლილებასთან. ისინი ხვდებიან და განიცდიან, რომ მათმა შვილმა შესაძლოა ისე სრულფასოვნად და დამოუკიდებლად ვერ იფუნქციონიროს, როგორც სხვებმა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, **უსუსურობისა და უმწეობის განცდა** ერთ-ერთი ყველაზე ხშირი ემოციაა მშობლებს შორის. ეს გამომდინარეობს შიშიდან, რომ ვერ შეძლებენ ბავშვის დაცვას ემოციური თუ ქცევითი პრობლემებისგან, ვერ შეუქმნიან მშვიდ და უსაფრთხო გარემოს, რომელშიც ბავშვი აქტიურად იქნება ჩართული.

ასევე, მშობლებში ხშირია **საკუთარი თავის დადანაშაულება** და განცდა, რომ მათ ვერ გააკეთეს საკმარისი პრევენციისათვის ან დააგვიანეს ბავშვის დროული დახმარება.

დიაგნოზის მიღებისას მშობლებს შესაძლოა გაუჩნდეთ **მარტოსულობისა და იზოლირებულობის** განცდა, რადგან, საკუთარი შემთხვევის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, გაუჭირდეთ სხვა მშობლებთან საკუთარი თავის იდენტიფიცირება, მეგობრებისა და ოჯახის სხვა წევრებისთვის სიტუაციის შეტყობინება და ახსნა. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, თუ რა წარმოდგენები, სტიგმები და ცოდნა არსებობს განვითარების სირთულეების შესახებ სოციალურ გარემოში. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მშობლებმა შესაძლოა გარიყულად იგრძნონ თავი.

ასევე, მათ ემოციებზე სავარაუდოა, გავლენა იქონიოს იმან თუ როგორ აისახება ეს მათი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებზე - სამსახური, სოციალური ცხოვრება, პირადი ინტერესები დახარჯული დროის რაოდენობა და ა.შ.

დიაგნოზის გაგებისას შესაძლოა მშობლებს **შეგების განცდაც დაეუფლოთ**, რადგან კონკრეტული დიაგნოზი გარკვეულ შეკითხვებზე პასუხს იძლევა და ამასთანავე, სამომავლო ცხოვრებისთვის მიმართულებასა და ორიენტირს განსაზღვრავს.

არ არსებობს დიაგნოზის გაგებაზე რეაგირების „სწორი“ გზა. მშობელს არ შეუძლია ემოციების თავიდან არიდება და არც უნდა აირიდოს. საკუთარი ემოციების გამოხატვა

და მასთან გამკლავება არის დიაგნოზის სწორად მიღებისკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი.

გამკლავებასთან დაკავშირებული რჩევები მშობლებისთვის:

გაუფრთხილდით საკუთარ თავს

- 😊 უპირობოდ მიიღეთ თქვენი ემოციები და როგორც არ უნდა იყოს ის - არ უკუაგდოთ. საკუთარი განცდების გაცნობიერება ძალიან მნიშვნელოვანია;
- 😊 მიეცით საკუთარ თავს დრო. ნეგატიური ემოციები არ რჩება სამუდამოდ, თუმცა ისინი შესაძლოა დრო და დრო დაბრუნდეს. ნელ-ნელა თქვენ ისწავლით ემოციების ამოცნობასა და მათთან გამკლავებას;
- 😊 იყავით კეთილგანწყობილი საკუთარი თავის მიმართ. იზრუნეთ თქვენს თავსა და ჯანმრთელობაზე;
- 😊 როდესაც მზად იქნებით, ესაუბრეთ ახლო ადამიანებს იმის შესახებ თუ რას გრძნობთ. შეეცადეთ მიიღოთ ის, რომ სხვა ადამიანებს შესაძლოა თქვენგან განსხვავებულ დამოკიდებულებები და ემოციები ჰქონდეთ;
- 😊 თქვენ მარტო არ ხართ. გაიცანით ადამიანები, რომლებიც მსგავს სიტუაციაში არიან. მათთან საუბარი აუცილებლად დაგეხმარებათ.

ისიამოვნეთ ბავშვთან ერთად გატარებული დროით

- 😊 შეეცადეთ არ შეადაროთ თქვენი შვილი სხვა ბავშვებს. ყველა ბავშვი განსხვავებული და უნიკალურია.
- 😊 აღნიშნეთ პატარა წარმატებები - აქცენტი გააკეთეთ პროგრესსა და პოზიტიურ მოვლენებზე. თქვენი შვილი შესაძლოა ვითარდებოდეს განსხვავებულად, თუმცა მას აუცილებლად ექნება საკუთარი შესაძლებლობების შესაბამისი ინდივიდუალური მიღწევები და წარმატებები. უამრავი მიზეზი გექნებათ, რომ თავი კმაყოფილად და კარგად იგრძნოთ.

დახმარების ძიება

- 😊 შეაგროვეთ ინფორმაცია ბავშვის დიაგნოზის შესახებ სანდო წყაროებიდან (სპეციალისტები, ინტერნეტ რესურსები). გაითვალისწინეთ, რომ ყველაფერი, რასაც წაიკითხავთ ან მოისმენთ არ არის სანდო კვლევებზე და წყაროებზე დაფუძნებული.
- 😊 ეძიეთ პროფესიონალური მხარდაჭერა და ინფორმაცია, ბავშვის განვითარებისთვის საჭირო სერვისები და ორგანიზაციები.

და-ძმები

ის, თუ როგორ მიიღებენ ბავშვის და-ძმები დიაგნოზს დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე:

- 😊 რამდენი წლის არიან;
- 😊 როგორ უმკლავდებიან მშობლები მდგომარეობას;
- 😊 როგორ საუბრობენ მშობლები და დანარჩენი უფროსები ბავშვის დამატებით საჭიროებებზე;
- 😊 როგორ მხარდაჭერას იღებენ;
- 😊 როგორ ესმით „დამატებითი საჭიროებები“.

მშობლებმა მათთვის ინფორმაციის მიწოდებისას აუცილებელია გაითვალისწინონ ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები.

2.4. ოჯახის ფსიქოგანათლება

ბავშვის ზრდა-განვითარებისა და სწავლისთვის მნიშვნელოვანია ჯანსაღი გარემო და ემოციური მხარდაჭერა ახლობელი ადამიანების, განსაკუთრებით მშობლების მხრიდან. ყოველივე ამით შვილის უზრუნველყოფა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მშობელიც ემოციურად კარგად გრძნობს თავს, გაცნობიერებული და მიღებული აქვს ბავშვის მდგომარეობა, იცის მისი საჭიროებები. მსგავსი მდგომარეობის მიღწევა, ნაწილობრივ, დამოკიდებულია იმაზე თუ რა წარმოდგენები და ცოდნა აქვს მშობელს დიაგნოზის შესახებ. სწორედ ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია მშობლის ფსიქოგანათლება ანუ სპეციალისტისგან შემდეგი ინფორმაციის მიღება:

- ☒ დიაგნოზის მიზეზები და თავისებურებები;
- ☒ მთავარი მახასიათებლები;
- ☒ ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეები;
- ☒ გამკლავებისა და მხარდაჭერის სტრატეგიები;
- ☒ მწვავე სიტუაციების პრევენცია;
- ☒ გამოწვევები და მოლოდინები;
- ☒ პროგნოზი.

ბავშვის უსაფრთხოების, კეთილდღეობისა და ეფექტური განვითარების პირველადი გარემო ოჯახია. სწორედ ამიტომ ადრეული შემჩნევა, იდენტიფიცირება, ჩარევა, დიაგნოზის შესახებ ინფორმაციის მიღება და ბავშვის საჭიროებების სწორად განსაზღვრა მნიშვნელოვანია მისი განვითარებისა და მომავალი კეთილდღეობისთვის. მიუხედავად სტრესისა, მრავალი გამოწვევისა და სირთულისა, ამ პროცესში მშობლები ბევრ საჭირო ინფორმაციას იღებენ, სწავლობენ, ივითარებენ ახალ უნარებს და ზრუნავენ შვილების საუკეთესო მომავალზე.

თავი 3.

ინტელექტუალური დარღვევის მქონე ბავშვის დახმარება

მოცემულ თავში განვიხილავთ ინტელექტუალური დარღვევის დროს ინტერვენციის გზებს და, ამასთანავე, სხვადასხვა დარგის სპეციალისტების როლსა და ფუნქცია-მოვალეობებს ბავშვთან მუშაობის პროცესში. ინტერვენცია გულისხმობს ჩარევის სხვადასხვა სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენებას არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

3.1. როგორ გვეხმარებიან სპეციალისტები

ჩარევის პროცესი დიდწილადაა დამოკიდებული ბავშვის სპეციფიკურ შემთხვევაზე, მის სუსტ და ძლიერ მხარეებსა და კონკრეტულ საჭიროებებზე.

დარღვევების ასოციაციის მიხედვით (AAIDD, 2013) კონკრეტული დროის მანძილზე, შესაბამისი ინდივიდუალური მხარდაჭერისა და ჩარევის საფუძველზე, შესაძლებელია ბავშვის ფუნქციონირების დონის გაუმჯობესება. აღსანიშნავია, რომ ეფექტურობის დონე დიდწილადაა დამოკიდებული ადრეულ ჩარევაზე. ინტერვენციის მთავარი მიზანია სასურველი შედეგების მიღწევის მაქსიმალიზება.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ბავშვის შეფასება და ინტერვენცია მჭიდრო ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან. ეს არის სისტემურ დაკვირვებაზე, მონიტორინგსა და ანალიზზე დაფუძნებული პროცესი. მშობლები ამ პროცესში მნიშვნელოვანი და აქტიური მონაწილე პირები არიან, შესაბამისად სასურველია, რომ მათ სხვადასხვა სერვისებისა და პროგრამების შესახებ ჰქონდეთ ინფორმაცია.

ქვემოთ ჩამოთვლილია ჩარევისა და ბავშვის მხარდაჭერის სხვადასხვა პროგრამები, თერაპიები და სერვისები, რომლებიც დაეხმარება მას საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენასა და გაუმჯობესებაში. თითოეულ მათგანში ბავშვის ჩართვის საჭიროება დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევასა და ინდივიდის საჭიროებებზე.

- ☆ მეტყველების თერაპია - მიმართულია ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისთვის. მისი დახმარებით ბავშვი სწავლობს საკუთარი ემოციებისა და ფიქრების გამოხატვას, სხვების გაგებას, სწორად წარმოთქმას. თერაპია, ასევე, მიმართულია ლექსიკური მარაგის განვითარებაზე.
- ☆ ოკუპაციური თერაპია - ეხმარება ბავშვს ნატიფი და მსხვილი მოტორული უნარების განვითარებაში. იგი სწავლობს საჭირო და მიზნობრივი აქტივობების განხორციელებას. ეუფლება თვითმოვლის (მაგალი-

თად, დავარცხნა, დაბანა, ჩაცმა), გასართობ (მაგალითად, ქსოვა, თამაში) და საყოფაცხოვრებო (მაგალითად, საჭმლის მომზადება, დასუფთავება, ჭურჭლის გარეცხვა, საწოლის მოწესრიგება) აქტივობებს.

☆ ფიზიკური თერაპია - მიმართულია ბალანსის, თვალისა და ხელის კოორდინაციისა და მოძრაობის უნარ-ჩვევების დაუფლებაზე. აუმჯობესებს სენსორულ ინტეგრაციას ანუ შეგრძნების სხვადასხვა არხებიდან მიღებული ინფორმაციის სწორად აღქმასა და გადამუშავებას.

☆ თამაშით თერაპია (play therapy) - მიმართულია ზოგად განვითარებასა და თამაშის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე.

☆ კოგნიტური თერაპია - აუმჯობესებს აღქმის, მეხსიერების, ყურადღების, ლოგიკური აზროვნებისა და მსჯელობის უნარ-ჩვევებს.

☆ ფსიქოთერაპია - მიმართულია ემოციური განვითარებისა და რეგულაციის (მაგალითად, ბრაზის მართვის) უნარ-ჩვევების დაუფლებაზე.

☆ ოჯახის თერაპია - გამიზნულია ოჯახის წევრებისთვის ინტელექტუალური დარღვევის თავისებურებების შესახებ საჭირო ინფორმაციის მიწოდებისთვის. მიმართულია მათ ემოციურ მხარდაჭერასა და გამკლავების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე.

ქვემოთ განვიხილავთ თუ რა როლი აკისრია სხვადასხვა სპეციალისტს ბავშვთან მუშაობის პროცესში და რას წარმოადგენს მათი ფუნქცია-მოვალეობები.

ფსიქოლოგი, ფსიქოთერაპევტი არის პროფესიონალი, რომელიც, პირველ რიგში, აფასებს ბავშვის აზროვნების, სწავლის, ქცევისა და ემოციურ მდგომარეობებს. მსგავსი შეფასება იძლევა სურათს იმასთან დაკავშირებით თუ რა გავლენას ახდენს ბავშვის მდგომარეობა მის ზოგად განვითარებაზე (მაგალითად, თვითშეფასება, შფოთვა, მოტივაცია და ა.შ.). ფსიქოლოგი მუშაობს ბავშვის ქცევითი და ემოციური სირთულეების შემცირებაზე, კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებაზე.

სკოლის ფსიქოლოგი, განათლების ფსიქოლოგი არის სპეციალისტი, რომელიც ბავშვთან სკოლის კონტექსტში მუშაობს. ის კომპეტენტურია როგორც ფსიქოლოგიის, ასევე - განათლების სფეროში. მის ფუნქცია-მოვალეობებში შედის შეაფასოს, რა გავლენას ახდენს ბავშვის კოგნიტური და აკადემიური შესაძლებლობები სწავლის პროცესსა და სკოლაში ფუნქციონირებაზე. ასრულებს კონსულტანტის როლს სკოლის პერსონალსა და მშობლებს შორის. ის უზრუნველყოფს დინამიკისა და პროგრესის მონიტორინგს.

სპეციალური მასწავლებელი მუშაობს სკოლაში განვითარების სხვადასხვა დარღვევების მქონე ბავშვებთან. ის აფასებს ბავშვის აკადემიურ უნარებსა (წერა, კითხვა, ფონოლოგიური უნარ-ჩვევები, ანგარიში) და საჭიროებებს, ეხმარება მასწავლებლებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში, განხორციელებასა და მონიტორინგში. შეიმუშავებს ბავშვის ეფექტური სწავლების სტრატეგიებს მასწავლებლებისა და მშობლებისთვის. საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ქცევის მართვის კუთხით ინტერვენციებს საკლასო სივრცეში.

ქცევის მართვის თერაპევტი არის პროფესიონალი, რომელიც კომპეტენტურია რთული ქცევის მართვის ტექნიკების კუთხით. ის იყენებს სხვადასხვა სტრატეგიებს და ახორციელებს ჩარევას საჭიროებისამებრ სხვადასხვა კონტექსტში - სკოლა, სახლი და სხვა სოციალური სიტუაციები. უწევს ბავშვის ქცევის მართვის კუთხით კონსულტირებასა და მხარდაჭერას მშობლებსა და სხვადასხვა პირებს (მასწავლებელი, აღმზრდელი).

ოკუპაციური თერაპევტი არის პროფესიონალი, რომელიც მუშაობს ბავშვთან მისი სოციალური და პრაქტიკული უნარების შეფასებისა და განვითარების კუთხით, რათა უკეთესად იფუნქციონიროს ყოველდღიურ ცხოვრებაში. მნიშვნელოვანი ასპექტია მშობლების კონსულტირება აღნიშნული თვალსაზრისით. მუშაობის მთავარი მიზა-

ნია ბავშვის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა სხვადასხვა უნარ-ჩვევების თვალსაზრისით, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს ისეთ უნარებს როგორცაა კოორდინაცია და ჩანგლის გამოყენება კვების პროცესში, ჩაცმა, კბილების გამოხევა, ბანაობა, საპირფარეშოს უნარ-ჩვევები და ა.შ. ოკუპაციური თერაპევტის სამუშაო კომპეტენცია ასევე გულისხმობს მოძრაობის უნარ-ჩვევების განვითარებასა და სენსორული ინტეგრაციის სირთულეების გაუმჯობესებას. საჭიროების შემთხვევაში, ის ეხმარება მშობლებს ბავშვისთვის საჭირო სპეციალური რესურსებისა და აღჭურვილობის მოძიებაში.

მეტყველების თერაპევტი არის სპეციალისტი, რომელიც ეხმარება ბავშვს კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარებასა და ხელშეწყობაში. ეს შესაძლოა გულისხმობდეს ბავშვის მიერ მიმართული მეტყველების (ანუ სხვების მიერ წარმოთქმული სიტყვებისა და წინადადებების გაგების), ექსპრესიული მეტყველების (სამეტყველო ენის გამოყენება საკუთარი სურვილების, ემოციებისა და მდგომარეობის გამოხატვის მიზნით), წარმოთქმისა ან ალტერნატიული სამეტყველო მეთოდების გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარების თვალსაზრისით. მეტყველების თერაპევტის ფუნქცია-მოვალეობები, საჭიროების შემთხვევაში, ასევე გულისხმობს ისეთი კომუნიკაციური

უნარების განვითარებაზე მუშაობას, როგორცაა რიგის დაცვა, თვალებით კონტაქტის დამყარება ან ჟესტიკულაციის გამოყენება.

ნევროლოგი არის პროფესიონალი, რომელიც მუშაობს ბავშვთან ნერვულ სისტემასთან დაკავშირებული სირთულეების დროს (თავის ტვინთან, ხერხემალთან და კუნთებთან დაკავშირებული პრობლემები), რომლებიც შესაძლოა ვლინდებოდეს თავის ტკივილებით, ძილისა და კვების სირთულეებით, კუნთების სისუსტით და ა.შ.

კონკრეტულ თერაპიაში ბავშვის ჩართვამდე, სასურველია, გაითვალისწინოთ შემდეგი რეკომენდაციები:

✓ სანდო პროფესიონალთა გუნდის მოძიება - მნიშვნელოვანია მშობელმა მოძებნოს ისეთი სპეციალისტები (ექიმი, მასწავლებელი, თერაპევტები), რომელთაც ის ენდობა. მას ძალიან მნიშვნელოვანი და ღირებული ინფორმაცია აქვს საკუთარი შვილის შესახებ, რომელიც მათ უნდა გაუზიაროს. შვილის მდგომარეობის პირველი ექსპერტი სწორედ მშობელია. აღნიშნულ პროფესიონალებს შეუძლიათ მდგომარეობის შეფასება, რათა მაქსიმალურად უზრუნველყონ ბავშვის პოტენციალის გამოვლენა. ბავშვი საუკეთესოდ გრძნობს თავს, როდესაც მშობელი და სპეციალისტები აქტიურად თანამშრომლობენ.

✓ კონკრეტული თერაპიული ჩარევისა და მხარდაჭერის ეფექტურობის დადგენა - ყველა ბავშვი განსხვავებულია. მათი განვითარებისა და ფუნქციონირების თავისებურებების მრავალფეროვანი სპექტრი არსებობს. აუცილებელია, რომ მშობელმა თერაპიული ჩარევა, სწორედ ბავშვის თავისებურებებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე დაგეგმოს. მან უნდა ჰკითხოთ საკუთარ თავს: „ეს ჩარევა ჩემი შვილის მდგომარეობის შესაბამისია? რომელ კონკრეტულ სფეროებზე მინდა გავაკეთო მთავარი აქცენტი? როგორ მივხვდები, რომ არჩეული ინტერვენცია მართებული და ეფექტურია ჩემი შვილისთვის?“. ბევრი თერაპიული ჩარევა არსებობს, რომლის ეფექტურობის თვალსაჩინო დადასტურება რთულად შესაძმწნევია. შესაძლოა ის ზოგიერთი ბავშვისთვის მუშაობდეს, ხოლო კონკრეტული ბავშვის შემთხვევაში კი არ იყოს ეფექტური. მასში ჩართვამდე მიიღეთ მაქსიმალური ინფორმაცია თერაპიის შესახებ, რათა თქვენ მიერ დახარჯული დრო და რესურსი არ აღმოჩნდეს ფუჭი და უშედეგო.

✓ თერაპიული ინტერვენციის ნებისმიერ საფუხურზე ბავშვის გვერდით ყოფნა - პროფესიონალთან კონსულტირებით, თუმცა მშობლის გადაწყვეტილებით ხდება პრიორიტეტული სამუშაო მიზნების შერჩევა, რომელიც საჭიროა როგორც მისთვის, ასევე ოჯახის წევრებისთვის. მშობელი აქტიურად უნდა იყოს ჩართული თერაპიულ

პროცესში და შესაძლოა ესწრებოდეს კიდევ. მნიშვნელოვანია დრო და დრო მიზნების გადახედვა. სწორედ მშობელი წყვეტს საჭიროა, თუ არა არჩეულ მიზნებზე მუშაობის გაგრძელება თუ მიზანშეწონილია მათი შეცვლა. ხშირია თერაპიული მიდგომისა და თერაპევტის შეცვლის შემთხვევები. ეს ბუნებრივი მოვლენაა და არ უნდა აშინებდეს მშობელს. არცერთი სერვისი არ არის გათვლილი მთელ ცხოვრებაზე. უმეტესობა გარკვეულ ასაკზე და მცირე დროის ხანგრძლივობაზეა დაგეგმილი.

თავი 4.

ინტელექტუალური დარღვევის მეორე ბავშვთა განათლება

განათლების მიღება ნებისმიერი ბავშვის უფლებაა მიუხედავად მისი შესაძლებლობებისა და მდგომარეობისა. შესაბამისად ინტელექტუალური დარღვევის მქონე ბავშვი ჩართული უნდა იყოს როგორც სკოლამდელ, ასევე სასკოლო საგანმანათლებლო პროცესებში. ინტელექტუალურ დარღვევას, როგორც ვიცით, თან ახლავს შემეცნებითი სფეროს მნიშვნელოვანი სირთულეები, რის გამოც ბავშვს აქვს სირთულეები სწავლის პროცესში, მაგრამ მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობისას მხოლოდ აკადემიური მიღწევები არ არის პრიორიტეტული. ინტელექტუალური დარღვევის მქონე ბავშვებს სკოლა უნდა დაეხმაროს ისეთი მნიშვნელოვანი უნარების განვითარებაში, როგორებიცაა თვითდისციპლინა, სოციალური, კომუნიკაციური და ცხოვრებისთვის საჭირო სხვა პრაქტიკული უნარები.

ზოგიერთ ქვეყანაში საგანმანათლებლო პოლიტიკა თავისთავად გულისხმობს ნებისმიერი ბავშვის მხარდაჭერასა და მისი პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენისთვის

ზრუნვას, შესაბამისად, ინტელექტუალური დარღვევის ან სხვა მდგომარეობების მქონე ბავშვებისთვის ნებისმიერი სკოლის კარი ღიაა. ასევე, ზოგიერთ ქვეყანაში, სკოლები დამოუკიდებლად იმუშავენ შიდა სტრატეგიებს სხვადასხვა მდგომარეობების მქონე ბავშვებისთვის მაქსიმალურად ხელშემწყობი გარემოს შესაქმნელად. მოცემულ თავში ვისაუბრებთ სკოლის როლზე ბავშვის განვითარების ხელშეწყობაში, იმაზე, თუ როგორ ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა ინტელექტუალური დარღვევის მქონე ბავშვისათვის და რამდენად დიდი როლი აქვს მშობლის თანამონაწილეობას.

4.1. ინდივიდუალური დარღვევის მქონე ბავშვი სკოლაში

სკოლის დაწყება მნიშვნელოვანი პერიოდია როგორც ბავშვებისთვის, ასევე მშობლებისთვის. რეკომენდებულია, რომ სკოლაში შესვლისათვის მზადება და პროცესის დაგეგმვა დაიწყოს სასწავლო წლის დაწყებიდან რამდენიმე თვით ადრე. ეს პერიოდი მოიაზრებს როგორც სკოლის შერჩევას, ასევე თავად ბავშვის მომზადებას. სკოლის შერჩევის პროცესში სასურველია მშობელმა საბოლოო გადაწყვეტილება რამდენიმე ვარიანტის შედარებისა და ბავშვის საჭიროებების გათვალისწინებით გააკეთოს. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია მნიშვნელოვანი

იყოს სკოლის ტერიტორიული მდებარეობის მიხედვით შერჩევა, ზოგიერთ შემთხვევაში კი ინფრასტრუქტურა იყოს გადამწყვეტი. გარდა ამისა, საჭიროა მშობელმა მოიპოვოს ინფორმაცია სკოლის ხედვის, გამოცდილებისა და რესურსების შესახებ. სასურველია, ბავშვს წინასწარ გავაცნოთ გარემო. ამისთვის შეარჩიეთ შედარებით მშვიდი პერიოდი.

მშობელი არის ის პირი, რომელმაც უნდა მიაწოდოს მასწავლებლებს ინფორმაცია ბავშვის შესახებ და ჩაერთოს მისთვის საგანმანათლებლო პროგრამის/გეგმის შედგენაში.

აღსანიშნავია, რომ ხელშემწყობი გარემოს არსებობით სკოლასა და სახლში, ოჯახის მიერ ბავშვის საჭიროებების განვითარებაზე ზრუნვითა და შესაბამისი სპეციალისტის ჩართულობით, ინტელექტუალური დარღვევის მქონე ბავშვს შეუძლია განვითარდეს და გაიუმჯობესოს სხვადასხვა აკადემიური, შემეცნებითი თუ ყოველდღიური ცხოვრებისთვის საჭირო პრაქტიკული უნარები.

4.2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა

დიდია იმის ალბათობა, რომ სკოლაში ეროვნული სტანდარტით გათვალისწინებული მიზნები და მოთხოვნები არ შეესაბამებოდეს ინტელექტუალური დარღვევის მქონე ბავშვის შესაძლებლობებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა კი ეხმარება მას ჩართული იყოს საგანმანათლებლო პროცესში მისი რესურსებისა და უნარების შესაბამისად.

ინდივიდუალური გეგმის შედგენაზე მუშაობს გუნდი, რომლის წევრები არიან: საგნის მასწავლებლები, სკოლის ფსიქოლოგი და/ან სპეციალური მასწავლებელი, ბავშვის მშობელი. თუ ბავშვი ჩართულია ინტერვენციის პროგრამაში, სასურველია სპეციალისტმაც მიიღოს მონაწილეობა გეგმის შემუშავებისთვის გამართულ შეხვედრაში.

ინდივიდუალური გეგმის შედგენის პირველი ეტაპია ბავშვის შემეცნებითი და აკადემიური უნარების შეფასება. სკოლის ფსიქოლოგი აფასებს ბავშვის ყურადღების, მეხსიერების, აზროვნების, აღქმისა და მეტყველების უნარებს. მასწავლებელი და/ან სპეციალური

მასწავლებელი აგროვებს ინფორმაციას და აფასებს ბავშვის წერის, კითხვისა და მათემატიკურ უნარებს.

ინდივიდუალურ გეგმაში, ასევე, ასახულია ბავშვის საგნობრივი კომპეტენციები - ანუ რა ცოდნა აქვს მას კონკრეტულ საგნებში. საგნობრივი ცოდნის განსაზღვრა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ სწორად მოხდეს სამუშაო მიზნების შერჩევა.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიძლება სხვადასხვა ფორმატის იყოს, თუმცა, შინაარსობრივად ის მოიცავს:

- ❄ გრძელვადიან მიზნებს;
- ❄ მოკლევადიან მიზნებს;
- ❄ იმ სტრატეგიებისა და რესურსების მაგალითებს, რომელთა გამოყენებითაც უნდა მოხდეს ბავშვის საჭიროებებზე მუშაობა.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, როგორც სახელწოდება მიგვანიშნებს, შექმნილია კონკრეტული ერთი ბავშვისთვის და მორგებულია მის შესაძლებლობებზე. მნიშვნელოვანია, რომ გეგმაში ასახული მიზნები არ იყოს არც ძალიან რთული და არც ძალიან მარტივი. იმისათვის, რომ სწორად მოხდეს მიზნების შერჩევა, საჭიროა ინდივიდუალური გეგმის შედგენაში გუნდის თითოეულმა წევრმა მიიღოს გარკვეული მონაწილეობა.

4.3. მშობლის როლი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში

მშობლის ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში მნიშვნელოვანია ერთი მხრივ იმით, რომ მას შეუძლია მასწავლებლებს მიაწოდოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია ბავშვის შესახებ, ხოლო მეორე მხრივ იმით, რომ თავადაც ჩაერთოს ბავშვის იმ უნარების განვითარებაში, რომლებიც სკოლასთან ერთად დაისახა. თუ მშობელი და სკოლა შეთანხმებულად და თანმიმდევრულად მუშაობენ ერთსა და იმავე მიზნებზე, ბავშვის პროგრესი მით უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია გუნდის შეხვედრა. მშობლის მონაწილეობას კი გადამწყვეტი როლი აქვს. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მიზეზი იმის შესახებ, თუ რატომ უნდა დაესწროს მშობელი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნისათვის გამართულ შეხვედრას:

❄ შეხვედრაზე სხვადასხვა ადამიანისა და სპეციალისტის მონაწილეობა ხელს უწყობს ბავშვის შესახებ მრავალ-მხრივი და განსხვავებული ინფორმაციის შეგროვებას;

❄ მშობელს შეუძლია გააცნოს მასწავლებლებსა და სკოლის წარმომადგენლებს საკუთარი ხედვა და პრიორიტეტები;

❄ პოზიტიური და საქმეზო ორიენტირებული შეხვედრები ხელს უწყობს მშობელსა და მასწავლებლებს შორის დადებითი კომუნიკაციის ჩამოყალიბებას;

❄ შეხვედრაზე განისაზღვრება როგორც მასწავლებლის, ასევე მშობლის ფუნქცია-მოვალეობები;

❄ მშობელს ექმნება მკაფიო წარმოდგენა სასწავლო პროცესისა და მასში ბავშვის ჩართულობის შესახებ;

❄ იზრდება მშობლის ცნობიერება და ინფორმირებულობის დონე, მაგალითად, მასწავლებლების დახმარებით მან შეიძლება ისწავლოს ის სხვადასხვა პედაგოგიური მიდგომები და სტრატეგიები, რაც გაუადვილებს ბავშვთან მუშაობას;

❄ შეხვედრა ხელს უწყობს სკოლისა და ოჯახის შეთანხმებულ მუშაობას ბავშვთან, რაც ზრდის ჩარევის ეფექტურობას.

თავი 5.

როგორ დავეხმარეთ ბავშვს, თუ მას ინტელექტუალური დარღვევა აქვს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინტელექტუალური დარღვევა გულისხმობს გარკვეულ სირთულეებს ორ ძირითად სფეროში: ინტელექტუალური ფუნქციონირება და ადაპტური უნარ-ჩვევები. ეს მოიცავს შემდეგ უნარებს: ინტელექტუალური ფუნქციონირება - მსჯელობის, დაგეგმვის, პრობლემის გადაჭრის, ლოგიკური და აბსტრაქტული აზროვნების და სხვა უნარ-ჩვევები; ადაპტური ფუნქციონირება - კომუნიკაცია, ყოველდღიური ცხოვრება, სოციალური უნარები და ურთიერთობები, ფიზიკური აქტივობები; მოცემულ თავში ჩვენ ვისაუბრებთ იმ სტრატეგიებსა და ტექნიკებზე, რომელთა გამოყენება მშობელს დაეხმარება ბავშვის დეფიციტური უნარების გაუმჯობესებაში.

5.1. ფუნქციური უნარ-ჩვევების სწავლების სტრატეგიები და აქტივობები მშობლისათვის

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, რომ მშობელმა ბავშვი სახლის პირობებში ჩართოს ყოველდღიურ აქტივობებში. დაიხმაროს ნებისმიერი საქმიანობის განხორციელებისას,

მაგალითად, საჭმლის მომზადება, საწოლის გასწორება, ნივთების დალაგება და ა.შ. ეს დაეხმარება ბავშვს:

- ☒ დაეუფლოს და განივითაროს ახალ უნარ-ჩვევები;
- ☒ გახდეს უფრო დამოუკიდებელი;
- ☒ თავი იგრძნოს საჭიროდ, ღირებულად და დაფასებულად;
- ☒ იყოს აქტიური და ჰქონდეს თანამონაწილეობის განცდა;
- ☒ გაიუმჯობესოს კომუნიკაციური უნარ-ჩვევები;
- ☒ დაეხმარება სიახლეების აღმოჩენაში, არჩევანის გაკეთებასა და თვითგამორკვევაში;

რეკომენდირებულია:

-  მშობელმა ახალი უნარის განვითარებაზე მუშაობა დაიწყოს მაშინ, როდესაც ბავშვი ავლენს მზადყოფნას. აუცილებელია დახმარება, რომ ბავშვმა გაიგოს კონკრეტული აქტივობის მიზანი და იცოდეს მისი განხორციელებისთვის საჭირო თითოეული საფეხური. ეს ახალი უნარის დაუფლების პროცესს ხდის ბევრად უფრო ადვილს.
-  კონკრეტული უნარის სწავლებისას ინსტრუქცია უნდა მიეწოდოს ნაწილ-ნაწილ, თანმიმდევრულად და საფეხურეობრივად. მაგალითად, აბაჯანის მიღება:

1. გაიხადე ტანსაცმელი
2. დადე პირსახოცი

3. ჩართე ონკანი
4. ტანზე წაისვი საპონი
5. ჩამოიბანე წყლით
6. გამორთე ონკანი
7. გაიმშრალე პირსახოცით

✿ მნიშვნელოვანია დღის რეჟიმის ჩამოყალიბება - ამ გზით, ბავშვისთვის გარემო გახდება პროგნოზირებადი. ასევე, დღის რუტინა გაუადვილებს ბავშვს ყოველდღიური უნარ-ჩვევების ათვისების პროცესს, რაც, შესაბამისად, ნელ-ნელა ხელს შეუწყობს მისი დამოუკიდებლობის ხარისხის ზრდას.

✿ ბავშვისთვის რუტინის გაგებისა და სწავლისთვის სასურველია, მშობელმა გამოიყენოს თითოეული აქტივობის აღმნიშვნელი ბარათები, რომელთაც დააწყობს რეჟიმის შესაბამისი თანმიმდევრობით. მაგალითად, გაღვიძების შემდეგ დილით ჯერ კბილების გამოხეხვა, შემდეგ ჩაცმა, საუზმე, ჭურჭლის გარეცხვა და სკოლაში წასვლა.



✿ გენერალიზება ანუ ათვისებულის სხვადასხვა კონტექსტში გამოყენება მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევაა. ხშირად შეიძლება მშობელი ფიქრობდეს, რომ რადგან ბავშვი სახლში ავლენს კონკრეტულ უნარს, მაგალითად, იბანს ხელს, ვლინდებოდეს სხვა სიტუაციაშიც, მაგალითად, სკოლაშიც. თუმცა შესაძლოა ეს ასე არ იყოს. ამიტომ მნიშვნელოვანია ათვისებული უნარ-ჩვევის სხვადასხვა კონტექსტში გენერალიზებაზე მუშაობა.

✿ მნიშვნელოვანია, რომ ბავშვმა მიიღოს გასაგები, ზუსტი და მყისიერი უკუკავშირი ნებისმიერ განხორციელებულ აქტივობაზე, რაც ხელს შეუწყობს მიზეზ-შედეგობრიობის უნარის განვითარებას.

5.2. ქცევის სირთულეების მართვის ტექნიკები

ქცევის სირთულეებში განიხილება ქცევათა ის ჩამონათვალი, რომელიც ვლინდება ხშირად, გარკვეული პერიოდით და აისახება ბავშვის ცხოვრების ან ჯანმრთელობის ხარისხსა და უსაფრთხოებაზე. ქვემოთ განვიხილავთ სტრატეგიებს, რომლის გამოყენებითაც მშობელს შეუძლია თავიდან აირიდოს ქცევის სირთულეები. ასევე, ვისაუბრებთ იმაზეც თუ როგორ შეიძლება მართოს უკვე გამოვლენილი ქცევა.

ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასვლა, ხშირ შემთხვევაში, ქცევის სირთულის პროვოცირებას ახდენს. მაგალითად, ბავშვს არ უნდა მეცადინეობის დაწყება, რადგანაც ვერ წყდება თამაშს. სასურველია, მშობელმა რამდენიმე წუთით ადრე შეახსენოს ბავშვს, რომ დაწყებული აქტივობის დამთავრების დროა. შესაძლებელია წამზომის, ქვიშის საათის ან სხვა თვალსაჩინო სტრატეგიის გამოყენება. მაგალითად, მობილურ ტელეფონში დააყენეთ 5 წუთი, რომლის გასვლის შემდეგაც სიმღერა ჩაირთვება. აუხსენით ბავშვს, რომ როცა მუსიკას გაიგონებს თამაში უნდა დაასრულოს და მეცადინეობა დაიწყოს.

მკაფიო ინსტრუქციების მიწოდება მნიშვნელოვნად ამცირებს არასასურველი ქცევის გამოვლენას, გამომდინარე იქიდან, რომ ბავშვმა ზუსტად იცის როგორ უნდა მოიქცეს. შეეცადეთ, რომ გამოიყენოთ ინსტრუქციების პოზიტიური ფორმულირებით, მაგალითად, უთხარით: „შეეცადე ლამაზად დაწერო“, ნაცვლად იმისა, რომ უთხრათ „ნუ ჯღაბნი“.

სასურველი ქცევის წახალისება ქცევის მართვის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური სტრატეგიაა. შეეცადეთ, რომ, უფრო მეტად, აქცენტი გააკეთოთ სასურველ ქცევაზე. მაგალითად, როცა ხედავთ, რომ ბავშვმა დამოუკიდებლად ჩაიცვა ფეხსაცმელი, შეაქეთ და წახალისეთ მისთვის

სასურველი ნივთით, ტკბილეულით ან აქტივობით. მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოთ, რომ უმჯობესია ბავშვმა წინასწარ იცოდეს რა შედეგი მოყვება მის ქცევას. ეფექტურია დაჯილდოვების დაფების გამოყენება, რომელზეც ვიზუალურად ან წერილობით მოცემულია ის ქცევები, რომლებიც გინდათ, რომ ბავშვმა განახორციელოს. ყოველი ქცევის შემდეგ ის იღებს ვარსკვლავებს, სტიკერებს, მონეტებს და ა.შ. ის, რასაც იღებს ბავშვი მისთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო უნდა იყოს. წახალისების გამოყენებისას, მნიშვნელოვანია, რომ:

- ✿ ბავშვმა ჯილდო მიიღოს მაშინვე, როგორც კი სასურველ ქცევას გამოავლენს;
- ✿ არასოდეს წაართვათ ბავშვს უკვე მიღებული ჯილდო;
- ✿ შემოიტანეთ მოულოდნელი სიურპრიზები, მაგალითად, ერთის ნაცვლად მიეცით ორი ვარსკვლავი და ხაზი გაუსვით მის ქცევას.

იგნორირება არის ხერხი, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია შემცირდეს არასასურველი ქცევა. იგნორირების სტრატეგიის გამოყენება არ არის სასურველი მაშინ, როცა ბავშვი საკუთარ თავს ან სხვას აყენებს ზიანს. მისი გამოიყენება ეფექტურია ისეთი ქცევის დროს, როდესაც ბავშვი ცდილობს არასასურველი გზით უფროსის ყურადღების მიქცევას, მაგალითად: წუწუნებს, ჯიუტობს და ა.შ.

აღნიშნული სტრატეგიის გამოყენებებისას მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ შემდეგი ფაქტორები:

-  იგნორირებისთვის შეარჩიეთ კონკრეტული ერთი ან, მაქსიმუმ, ორი ქცევა, რომელიც ფიქრობთ, რომ ყველაზე მეტად შემაწუხებელია თქვენთვის ან ბავშვის ფუნქციონირებისათვის;
-  შეინარჩუნეთ მოთმინება და ეცადეთ, ქცევის გამწვავების მიუხედავად თქვენს პოზიციაზე დარჩეთ;
-  იგნორირების სტრატეგიის გამოყენებისას მნიშვნელოვანია, რომ ბავშვთან არ გქონდეთ როგორც სიტყვიერი, ასევე არავერბალური (თვალით კონტაქტი, ქესტები, მიმიკა) კომუნიკაცია.
-  თქვენთვის მისაღები ქცევის გამოვლენისთანავე აღნიშნეთ ის.

სოციალური უნარების სწავლება მნიშვნელოვანია, რადგან შესაძლოა ბავშვმა არასასურველი ქცევა გამოავლინოს სწორედ იმიტომ, რომ არ იცის როგორ მოიქცეს. მაგალითად, როცა ბავშვი ართმევს კლასელებს იმ ნივთებს, რომლებიც მოსწონს, აღნიშნული ქცევის განხორციელება არ იქნება საჭირო, თუ მას ეცოდინება როგორ სთხოვოს მეგობარს ნივთი.

როცა ზემოთ ჩამოთვლილი სტრატეგიების გამოყენების მიუხედავად მაინც ვლინდება ქცევის სირთულეები,

მათი მართვის ან შემცირებისათვის მშობელს შეუძლია განახორციელოს შემდეგი სახის ნაბიჯები:

ქცევის გამომწვევი მიზეზის პოვნა აუცილებელია იმისთვის, რომ მშობელმა სწორად დაგეგმოს ქცევის მართვის პროცესი. გამომწვევი მიზეზის დასადგენად, მნიშვნელოვანია, მშობელი დააკვირდეს როდის, რა სიტუაციაში ვლინდება ქცევა, რა უსწრებს მას წინ ან რა შედეგი მოჰყვება.

სხვის მიმართ გამოვლენილი აგრესიული ქცევის დროს, პირველ რიგში შეეცადეთ, რომ ბავშვი იყოს იზოლირებულ გარემოში, მაგალითად, თავის ოთახში. თუ დარწმუნებული ხართ, რომ უსაფრთხოდაა, შესაძლებელია გარკვეული პერიოდის განმავლობაში მისცეთ მარტო ყოფნისა და დამშვიდების შესაძლებლობა. სხვა შემთხვევებში კი იყავით მასთან ერთად და დაელოდეთ როდის დამშვიდდება.

თვითდამაზიანებელი ქცევის მართვის პირველი აუცილებელი წესი არის ბავშვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. თუ ის კბენს საკუთარ ხელებს, შესაძლებელია მკვრივი ხელთათმანების გამოყენება. რა თქმა უნდა, ეს არ არის საკმარისი იმისთვის, რომ აღნიშნული ქცევა აღარ გამოვლინდეს, თუმცა მნიშვნელოვანია ის, რომ შეამციროთ ბავშვისთვის მიყენებული ტკივილი

და ზიანის რისკი. თვითდამაზიანებელი ქცევის მართვისთვის გაიარეთ კონსულტაცია სპეციალისტთან, რათა ზუსტად განისაზღვროს თუ რა არის ქცევის გამომწვევი მიზეზი.

5.3. აკადემიური უნარების განვითარების ხელშეწყობი სტრატეგიები და აქტივობები

მოცემულ თავში ჩვენ ვისაუბრებთ და აღვწერთ იმ სტრატეგიებსა და ტექნიკებს, რომლებიც მშობელს დაეხმარება ბავშვის კითხვის, წერისა და ანგარიშის უნარების განვითარებაში.

კითხვა არის მნიშვნელოვანი კომპლექსური გონებრივი უნარი. კითხვის ათვისებისას ბავშვი თავს უნდა ართმევდეს შემდეგ ამოცანებს:

- ☒ ასოების ცნობა;
- ☒ ასოებისა და ბგერების ერთმანეთთან დაკავშირება;
- ☒ ფონოლოგიური ანალიზისა და სინთეზის უნარი;
- ☒ წაკითხულის გაგება;
- ☒ ლექსიკური მარაგის არსებობა და სხვა.

პირველ რიგში, სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანია, რომ თქვენ მიერ შეთავაზებული ნებისმიერი აქტივობა ბავ-

შვისთვის იყოს სახალისო და ჰქონდეს გართობისა და თამაშის სახე.

განვიხილოთ აქტივობები, რომლებიც მიმართულია ზემოთ ჩამოთვლილი უნარების განვითარებისთვის:

ასოების ცნობა, ასოებისა და ბგერების ერთმანეთთან დაკავშირება - მნიშვნელოვანია, რომ ასოების სწავლებისას არ ავჩქარდეთ და ეს ხდებოდეს ნაწილ-ნაწილ და ეტაპობრივად. ბავშვის სწავლის პროცესის გამარტივებისთვის, სასურველია გამოვიყენოთ თვალსაჩინოებები.



მსგავსი მასალის გამოყენებით, შეგიძლიათ ასოების ცნობის სწავლების სხვადასხვა აქტივობების განხორციელება:

😊 დაუსახელეთ კონკრეტული ასო („რომელია ასო „ა“?) და მან უნდა გაჩვენოთ. თუ ბავშვს გაუჭირდა, მაშინ დაეხმარეთ და მიეცით მინიშნება („ა-აქლემი, ა-აკვარიუმი, ა-ავტობუსი“);

😊 დაუკავშიროს ერთმანეთს ასოები და ამ ასოებზე დაწყებული სიტყვების გამოსახულებები. გამოჭერით სურათები და ასოები. სურათები ჩააწებეთ ცალკე ფურცელზე. დაუსახელეთ სურათზე გამოსახული საგანი, მაგალითად, „გ-გასაღები“. მან უნდა ამოარჩიოს შესაბამისი ასო „გ“ და ჩააწებოს გასაღების გამოსახულების ქვემოთ.

😊 დააწყვეთ ბავშვისთვის ნაცნობი ასოების ბარათები. დაუსახელეთ კონკრეტული ასო და მან უნდა აიღოს და მოგაწოდოთ.

😊 დაასახელეთ, რომელიმე ასო-ბგერა და დაწერეთ ფურცელზე. ბავშვმა უნდა გითხრათ, სწორად გამოსახეთ თუ არა დასახელებული ასო.

😊 მოცემულ აქტივობაში დაუსახელეთ ბავშვს კონკრეტული ასო, მაგალითად, „უ“. მან უნდა იპოვოს თქვენ მიერ დასახელებული ასო და შემოხაზოს.



😊 შესაძლებელია გამოვიყენოთ მსგავსი აქტივობა. ინსტრუქცია - „შემოხაზე ყველა ი“.

ი	ა	ც	რ	ც	ი	ო	ი	კ	დ	ი	ო	ი	ა
ს	დ	ს	ი	კ	ს	მ	ს	ი	ს	ო			
ა	ა	ი	დ	ა	ა	ო	ი	ა	ს	ბ			
ო	კ	დ	ო	მ	ნ	ი	ო	ო	ლ	ო			

ფორმით მსგავსი ასოების ერთმანეთისგან გარჩევა
- ხშირად ბავშვებს ძალიან უჭირს მსგავსი ასოების ერთმანეთისგან გარჩევა (მაგალითად, შ-წ, მ-ნ, ხ-ძ, ლ-ღ). მათი სწავლებისთვის შესაძლოა გამოვიყენოთ შემდეგი აქტივობა. ინსტრუქცია - „გამოსახულებები შეაერთე იმ ასოსთან, რომელზეც იწყება სურათის აღმნიშვნელი სიტყვა“. (მაგალითად, ძროხა - ძ).

ძ ხ




სხვადასხვა შეგრძნებებით სწავლება - სასურველია, რომ სწავლების პროცესში ჩართოთ სხვადასხვა შეგრძნებები, მაგალითად, ასოების სწავლებისას სთხოვოთ რომელიმე ასოს გამოძერწვა ან სთხოვეთ, რომ გამოსახულ ასოს მიუხატოს რაიმე საგანი, რომელიც იმ ასოზე იწყება, მაგალითად, ბ - ბურთი. დააწერეთ თითოთი ხელზე ან მოხაზეთ ხელით ჰაერში რომელიმე კონკრეტული ასო და მან უნდა დაასახელოს, რა ასო იყო. მსგავსი ხერხები სწავლების პროცესს უფრო სახალისოს და ეფექტურს გახდის.

სიტყვების წაკითხვა, წაკითხულის გაგება

წყვილში კითხვა - სწავლების პროცესს მშობლის თანამონაწილეობა ძალიან ეფექტურს ხდის. კითხვისას დაჯექით ბავშვის გვერდით და წაკითხვით მასთან ერთად ხმამაღლა. თქვენ მიერ სწორად ამოკითხული სიტყვები, დაეხმარება ბავშვს საკუთარი შეცდომების გაგებასა და გამოსწორებაში. მიეცით საშუალება, რომ დამოუკიდებლად შეასწოროს შეცდომები. თუ ბავშვს უჭირს სწორად ამოკითხვა, წაკითხვით მასთან ერთად მრავალჯერ. მნიშვნელოვანია, რომ თქვენ გქონდეთ დამხმარეს როლი, რომელიც სწორად წაკითხვის მაგალითს აძლევს ბავშვს.

წაკითხულის გაგება - ქვემოთ მოცემულია ერთ-ერთი აქტივობის მაგალითი, რომელიც შეგიძლიათ გამოიყენოთ წაკითხული სიტყვების გაგებისთვის. ზედა გრაფაში წერია სიტყვები. ქვედა გრაფაში მოცემულია სიტყვების შესაბამისი გამოსახულებები. გამოუჭერით სურათები. სთხოვეთ ბავშვს წაკითხოს სიტყვები, ამოარჩიოს შესაბამისი სურათი და დააწებოს სიტყვას.

ლომი	მზე	ვამლი	ბაჭია
------	-----	-------	-------



იპოვე სიტყვები - სურათების აღმნიშვნელი სიტყვები ჩამალულია ასოების გროვაში. ბავშვმა უნდა იპოვოს გამოსახულებების შესაბამისი სიტყვები და შემოხაზოს. თითოეულ სტრიქონში მოცემულია ერთი სიტყვა.

ს მ უ კ ფ ს ო მ დ ს პ ი ლ ო კ მ ნ ვ ს ა ი ო ფ ბ ფ ს კ გ მ ნ კ გ ი ო ს ლ ს ო ე რ ი გ კ ა დ ა ჯ დ კ ო ე უ რ ვ ა შ ლ ი დ ფ ე ო ყ დ ი რ ნ ფ ჯ ა პ ფ



გამოიცანი სიტყვა - ბავშვი ჩუმად კითხულობს სიტყვას. თქვენ უნდა გამოიცნოთ. დაუსვით შეკითხვები - მაგალითად, ბავშვმა ამოიკითხა სიტყვა „ხე“. საწყის ეტაპზე შესაძლოა დაუსვით „კი ან არა“ შეკითხვები („ცხოველია? დაფრინავს? მცენარეა?“), ნელ-ნელა ღია შეკითხვები („რა ფერისაა? სად გვინახავს?“); ბოლოს ასახელებთ თქვენს ვერსიას.

ტექსტის წაკითხვა და გაგება - სასურველია, რომ ტექსტს ჰქონდეს ვიზუალიზაცია, რაც გაამარტივებს კითხვისა და გაგების პროცესს. დაუსვით შეკითხვები წაკითხულის შესახებ. საწყის ეტაპზე სასურველია თუ შეკითხვები იქნება ფაქტობრივი შინაარსის (ვინ? სად? რა? ქნა?). შემდგომ შესაძლებელია შეკითხვის შინაარსის გართულება. სთხოვეთ, მოკლედ მოყვეს წაკითხული.

ყოველდღიურ ცხოვრებაში გაამახვილეთ ყურადღება სახლში საკვების წარწერებზე ან ქუჩაში სეირნობისას სხვა-

დასხვა დაწესებულებების აბრეშუ. წაიკითხეთ ბავშვთან ერთად.

წერა არის სიმბოლური გამოსახულებების საშუალებით გარკვეული მნიშვნელობების გადმოცემა წერილობით. წერა, ისევე როგორც კითხვა, ენის გამოყენების მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომლის საშუალებითაც ადამიანები გადმოსცემენ საკუთარ ფიქრებს, აზრებს, სურვილებსა და ემოციებს. წერის ჩვევის განვითარება დამოკიდებულია რამდენიმე უნარზე: კალმის ხელში ჭერა, სიმბოლოებისა და გრაფიკული გამოსახულებების კოპირება, მათი გამოსახვა, სივრცეში სწორად განლაგება, სიტყვებისა და წინადადებების ჩაწერა, ასოებისა და სიტყვების შორის ინტერვალების დაცვა. წერის სწავლების პროცესზე გადასვლამდე, მნიშვნელოვანია, რომ ბავშვს განვითარებული ჰქონდეს წერის წინმსწრები უნარები, რომელთა გავარჯიშება შესაძლებელია მრავალი სახალისო აქტივობებით: ძერწვა, ხატვა, გაფერადება, გადახატვა, გამოჭრა, ჩაწებება და ა.შ. ადრეულ ასაკში მსგავსი თამაშები მნიშვნელოვნად აადვილებს შემდგომში წერის უნარის ჩამოყალიბების პროცესს.

წერის უნარების განვითარებაზე მუშაობისას გასათვალისწინებელია, რომ:

- ✿ შეუქმნათ მეცადინეობისთვის განკუთვნილი კონკრეტული სივრცე, სადაც მშვიდად შეძლებს კონცენტრირებას თავის დავალებებზე;
- ✿ გახადოთ მეცადინეობის პროცესი დღის რუტინის შემადგენელ კომპონენტად; ხშირი, თუმცა ზომიერი ვარჯიში ძალიან მნიშვნელოვანია;
- ✿ ბავშვისთვის სწავლის პროცესი გახადოთ საინტერესო და სახალისო;
- ✿ წერის სწავლების პროცესი და შინაარსი დაუკავშიროთ მისთვის საყვარელ თემატიკას;
- ✿ აქცენტი გააკეთოთ პოზიტიურზე. შეაქეთ და წაახალისეთ, რაც კარგად გამოსდის;
- ✿ შეცდომის დაშვების შემთხვევაში გაუკეთეთ სწორი ვარიანტის მოდელირება. დაელოდეთ, რომ თავად შეასწოროს;
- ✿ ბავშვისთვის სწავლა არის აქტიური და შრომატევადი პროცესი, რასაც მისი ბევრი რესურსი მიაქვს. გაითვალისწინეთ ბავშვის სწავლის ტემპი. მიუხედავად იმისა, რომ პროცესი შესაძლოა დროში გახანგრძლივდეს, არ აჩქარდეთ;

გთავაზობთ წერის უნარის განვითარების ხელშეწყობისთვის საჭირო სტრატეგიებსა და აქტივობებს:

ასოებისა და სიტყვების ჩაწერა - მიაწოდეთ მკრთალად გამოსახული ასო და ბავშვი ზემოდან გადაატარებს ფანქარს;

წერტილოვანი შეერთებით ბავშვი სწავლობს სწორი მიმართილებით ასოების გამოსახვას. დროთა განმავლობაში წერტილების სიხშირე და რაოდენობა უნდა შემცირდეს.



კოპირებით სწავლება - დაწერეთ კონკრეტული ასო ფურცელზე, მან უნდა მიუწეროს იგივე ასო გვერდით. მიაწოდეთ დაბეჭდილი ასოები და მან უნდა გამოსახოს იგივე ასო.

ასოების დასრულება - ჩაწერეთ ასოები, რომელთაც რაღაც ნაწილი აკლიათ. უთხარით თუ რა ასო უნდა ეწეროს

(მაგალითად, გ, ფ, ბ), სთხოვეთ, რომ დაასრულოს შესაბამისად და მიუწეროს ქვევით.

გ ფ ბ

გამოტოვებული ასოები - მიაწოდეთ სურათები, რომელთაც ქვემოთ უწერიათ მათი აღმნიშვნელი სიტყვები გამოტოვებული ასოებით, რომლებიც მან უნდა ჩაწეროს, მაგალითად, ვა-ლი, რ-ე.



მსგავსი აქტივობის განხორციელება შესაძლებელია სიტყვებზე, მაგალითად, მეზობლის ----- ყვეს.

სიტყვებს შორის დისტანციის დაცვა - სიტყვებს შორის ინტერვალის დაცვის სწავლებისას, სთხოვეთ ბავშვს, რომ ჩამოუსვას ხაზი.

ფონოლოგიური ცნობიერება არის სამეტყველო ენაში ბგერებით მანიპულირება, რაც გულისხმობს სიტყვაში შემავალი ბგერებისა და მარცვლების დაშლას (ანალიზი) და შემდგომში ბგერების სიტყვებად გაერთიანებას

(სინთეზი). ფონოლოგიური ცნობიერების განვითარება სამომავლოდ კითხვის უნარის დაუფლების საფუძველია. ის დაკავშირებულია სმენით, სამეტყველო ბგერებით მანიპულაციასთან, ამიტომ მისი განვითარებაზე მუშაობისას ბავშვის მიერ ანბანის ცნობა არ არის აუცილებელი.

ქვემოთ მოცემულია ფონოლოგიური ცნობიერების განვითარებისა და ხელშეწყობისთვის დამხმარე სტრატეგიები და აქტივობები.


პირველი და ბოლო ბგერის გამოყოფა, დამარცვლა

✿ აჩვენეთ ბარათები, სადაც გამოსახულია სხვადასხვა საგნები ან დაათვალიერეთ ილუსტრირებული წიგნი. ჰკითხეთ - „რა არის გამოსახული?“ და „რა ასოზე იწყება?“.

✿ სახლში საუზმისას, ქუჩაში სეირნობისას, საყიდლებზე ყოფნისას დაუსვით მსგავში შეკითხვები ირგვლივ არსებულ საგნებთან დაკავშირებით: „ეს რა არის? კარაქი. რა ასოზე იწყება?“.

✿ ითამაშეთ „რა ასოზე იწყება“. „დაწყების“ გრაფაზე დადეთ ორი პატარა ნივთი, ერთი თქვენთვის, ერთი ბავშვისთვის. გააგორეთ რიგ-რიგობით კამათელი და გადაადგილეთ თქვენი ნივთი ამოსული რაოდენობის შესაბამისი ბიჯით. დაასახელეთ მოხვედრილ ადგილას გამოსახული საგნის პირველი და ბოლო ასო.

არასწორი ვერსიის შემთხვევაში, თქვენს ნივთს აბრუნებთ „დაწყების“ გრაფაზე. აგრძელებს ბავშვი და თამაში გრძელდება მანამ, სანამ რომელიმე თქვენგანი „დასასრულის“ გრაფამდე მივა.



- ✿ აირჩიეთ კონკრეტული ბგერა, მაგალითად, „დ“, რიგ-რიგობით მოიფიქრეთ და დაასახელეთ სიტყვები, რომლებიც ამ ასოზე იწყება. გადადით შემდგომ ბგერაზე. მიეცით თამაშის სახე.
- ✿ დამარცვლეთ სიტყვები ბავშვთან ერთად. დაუკარით ერთად იმდენი ტაში, რამდენი მარცვალაცაა სიტყვაში.
- ✿ დამარცვლეთ ვიზუალიზაციის შესაბამისი სიტყვები. (მაგალითად, პინ- გვი- ნი) სთხოვეთ ბავშვს სურათის ქვემოთჩამოუსვას იმდენი ხაზი, რამდენი მარცვალაცაა სიტყვაში. შესაძლებელია მსგავსი აქტივობის გაკეთება სიტყვის ბგერებად დაშლის კუთხით. (მაგალითად, პ-ი-ნ-გ-ვ-ი-ნ-ი).



მსგავსადმჟღერი ბგერების ერთმანეთისგან გარჩევა - ხშირად ბავშვებისთვის დიდ სირთულეს წარმოადგენს. ასეთ დროს დაუსახელეთ მსგავსად მჟღერი და ერთნაირი სიტყვები. მაგალითად:

- ✎ ქალი-ქარი
- ✎ კარი-კარი
- ✎ ხიდი-ხილი
- ✎ თავი-თავი
- ✎ ხელი-ხელი
- ✎ ბალი-ბარი
- ✎ გული-სული

ჰკითხეთ, ერთნაირია თუ სხვადასხვა. თუ ბავშვს უჭირს პასუხის გაცემა, გაუმეორეთ უფრო გარკვევით და მკაფიოდ.


მათემატიკური უნარების განვითარების ხელშეწყობა
გულისხმობს შემდეგ უნარებს: რაოდენობის ცნება, რიცხვების ცნობა, წინ და უკან თვლა, მეტობა-ნაკლებობის განსაზღვრა, ანგარიში, სხვადასხვა მათემატიკური ოპერაციების განხორციელება. ამ უნარების განვითარებაზე მუშაობისას მნიშვნელოვანია:

- ☑ პროცესი იყოს სახალისო;
- ☑ დავალებები იწყებოდეს მარტივიდან და ნელ-ნელა ეტაპობრივად რთულდებოდეს;
- ☑ თვალსაჩინოებისთვის გამოიყენოთ რაც შეიძლება მეტი ვიზუალური მასალა;
- ☑ სწავლების პროცესი მიზნული იყოს ყოფით სიტუაციებთან და მაგალითებთან, მაგალითად, თვლის სწავლებისას დაითვალოთ კიბეზე ასვლისას საფეხურები, მიცემული კანფეტების რაოდენობა, ქუჩაში მანქანების რაოდენობა და ა.შ.

მათემატიკური უნარების სწავლებისას შესაძლოა გამოიყენოთ შემდეგი აქტივობები:


რაოდენობის ცნება - სთხოვეთ, მოგაწოდოთ თქვენ მიერ დასახელებული რაოდენობის კანფეტი, ლეგოს ნაწილი, კუბი და ა.შ.

რაოდენობის ცნება - შემოხაზოს თქვენ მიერ დასახელებული რაოდენობის საგანი, მაგალითად შემოხაზე 2 მზე, 1 მანქანა, 3 ლიმონათი და ა.შ.




რაოდენობის ცნება - მიაწოდეთ „ცარიელი ხის“ სურათები. მან უნდა დახატოს ხეზე, თქვენ მიერ დასახელებული რაოდენობის ვაშლი.

რიცხვისა და რაოდენობის დაკავშირება - დააკავშირონ რიცხვები და რაოდენობები ერთმანეთთან.



რიცხვისა და რაოდენობის დაკავშირება - შემოხაზოს საგნის შესაბამისი რაოდენობის რიცხვი.



საწყის ეტაპზე ანგარიშის სწავლებისას გამოიყენეთ დამხმარე საშუალებები - ჩხირები, მაგნიტები, საანგარიშო და ა.შ.

მეტობა-ნაკლებობის სწავლებისას დაუსვით შეკითხვები ყოველდღიური სიტუაციებიდან, მაგალითად, რომელ თეფშზეა უფრო ბევრი პური?

შესაძლებელია მსგავსი დავალებები - (ინსტრუქცია) შემოხაზოს, სადაც ბევრი ნაყინია.



5.4. შემეცნებითი უნარების განვითარების ხელშეწყობი სტრატეგიები და აქტივობები

ქვემოთ განვიხილავთ აღქმის, ყურადღების, აზროვნებისა და მეხსიერების განვითარების ხელშეწყობ სტრატეგიებს.

აღქმა არის უნარი, რომელიც ბავშვის ტვინს აძლევს შესაძლებლობას გაიგოს, თუ რა არის ის, რასაც ხედავს ან ესმის. აღქმა განსხვავდება მხედველობის უნარისგან. ბავშვს შესაძლოა ჰქონდეს სრულყოფილი მხედველობა, მაგრამ ვერ აღიქვამდეს იმას, რასაც ხედავს. აღქმა იღებს აქტიურ მონაწილეობას ისეთ პროცესებში, როგორებიცაა კითხვა, წერა, ხატვა, ჩაცმა და ა.შ. ქვემოთ განვიხილავთ იმ სტრატეგიებსა და აქტივობებს, რომელთა გამოყენებითაც შეუძლია მშობელს დაეხმაროს ბავშვს აღქმის უნარის გაუმჯობესებაში.

ფიგურები - დაეხმარეთ ბავშვს აღიქვას გარემოში არსებული საგნების ფორმა. მაგ.: დაავალეთ ბავშვს მოძებნოს ისეთი ნივთები ოთახში, რასაც აქვს ოთხკუთხედის ფორმა.

ფერების ცნობა - გაუხმოვანეთ ბავშვს გარემოში არსებული საგნების ფერები, მაგალითად, უთხარით, „ნახე, შენი კაბა წითელია“, მიაწოდეთ ფერადი ფურცლებისგან გამოჭრილი სტიკერები და სთხოვეთ, რომ ამოარჩიოს რომელიმე ერთი ფერი ან დააკავშიროს ერთმანეთთან მსგავსი ფერები.


სახალისო აქტივობაა „**მოძებნე ნივთი**“, რომელიც შეიძლება განხორციელდეს როგორც ოთახში, ასევე პარკში, ეზოში-დასვენების დროს. ბავშვს ვეუბნებით, „მე დავინახე ყავისფერი ნივთი, ის არის ხის და აქვს 4 ფეხი“. მან კი უნდა იპოვოს ასეთი ნივთი მის ირგვლივ.

ფერადი სიტყვები - ამ სავარჯიშოს დროს ბავშვმა ერთმანეთთან უნდა დააკავშიროს ერთი ფერის სიტყვა და საგანი. მაგალითად: წითელი და წითლად გამოსახული ვაშლი.

შედარება და კონტრასტი - უთხარით ბავშვს გაჩვენოთ ყველაზე დიდი ბურთი და ყველაზე პატარა, მიეცით გარკვეული ნივთები და სთხოვეთ, რომ დააღაგოს ზომის, სიგრძის, სისქის მიხედვით.

სურათის ჩრდილი - მიაწოდეთ ბავშვს სავარჯიშო, რომელზეც გამოსახულია სხვადასხვა საგნები, ბავშვს კი ევალება დააკავშიროს ისინი თავიანთ ჩრდილებთან. მსგავსი ტიპის სავარჯიშოები შეგიძლიათ იხილოთ მოცემულ ბმულზე:

<http://www.schoolsparks.com/kindergarten-worksheets/category/visual-discrimination-matching-pictures-to-shadows>



ნაკლული დეტალი - ბავშვს ვუხატავთ რაიმე ნაცნობ საგანს და ვთხოვთ, რომ დაასრულოს. მაგალითად, მზეს დაუხატოს სხივები, ადამიანს ხელი, ყვავილს ფოთოლი. თუ დამოუკიდებლად ვერ ასრულებს შესაძლებელია ვაჩვენოთ რა ნაწილი არ აქვს სურათს.

ასოების/ციფრების ცხრილები - ფურცელზე არეულად ვწერთ ციფრებს 1-დან 10მდე (თანდათანობით ვართულებთ რაოდენობის გაზრდით), ბავშვმა უნდა მოძებნოს თანმიმდევრობით, შეიძლება თითო დაადოს ან ფანქრის, ფლომასტერის საშუალებით შეაერთოს.

მსგავსებისა და განსხვავებების პოვნა - ფურცელზე დახატულია 3 წრე და 1 სამკუთხედი, ბავშვმა კი უნდა თქვას რომელია განსხვავებული და რატომ. მსგავსების პოვნის შემთხვევაში კი გახაზულია მაგალითად „ყვავილი“, შემდეგ კი მოცემულია ზუსტად ისეთივე 1

ყვავილი და 3 რაღაც დეტალით განსხვავებული. ასეთ დავალებში ბავშვმა უნდა იპოვოს ზუსტად ისეთი ფიგურა, რომელიც არის გახაზული.

სივრცითი მიმართებების სწავლება - ბავშვს ეხმარება აღქმის უნარის გავარჯიშებაში. დაულაგეთ მაგიდაზე სათამაშოები, შემდეგ კი სთხოვეთ იპოვოს, რომელია ზემოთ, რომელი ქვემოთ, გვერდით და ა.შ.

დამალული ფიგურების პოვნა - ბავშვს ვაწვდით სავარჯიშოს, რომელზეც მოცემულია ნახატი და იმ საგნების ნიმუშები, რომლებიც ბავშვმა ნახატში უნდა იპოვოს. ამ ტიპის სავარჯიშოები შეგიძლიათ ნახოთ მოცემულ ბმულზე:

<http://bookmarkurl.info/worksheets/find-the-hidden-objects-worksheets.html>



რისი ხმა გესმის? - ეს არის აქტივობა, რომელიც ბავშვს ეხმარება სმენით აღქმული ინფორმაციის გადამუშავებაში.

მოასმენინეთ სხვადასხვა ტრანსპორტის, ცხოველის, ფრინველის, ბუნებრივი მოვლენების ხმები და სთხოვეთ, რომ გამოიცნოს რა არის.

გამოიცანი რა არის - ბავშვს რაიმე თასში ან ნაჭრის ჩანთაში ვუწყობთ სხვადასხვა ნივთებს, მან თვალდახუჭულმა შეხებით უნდა ამოიცნოს რა არის. ასეთი ტიპის აქტივობები ავითარებს ტაქტილურ (შეხების შედეგად მიღებული ინფორმაცია) აღქმას.

ფაზლები - თავდაპირველად დაიწყეთ მარტივი, 2 და 4 ნაწილიანი ფაზლებით, შესაძლებელია ბავშვს აჩვენოთ ის ნიმუშიც, რომელიც უნდა ააწყოს, შემდეგ კი თანდათანობით ბავშვის შესაძლებლობებიდან გამომდინარე გაუართულებ.

დამალული სიტყვები - (ფიგურისა და ფონის გამოყოფა)- მიაწოდეთ ბავშვს ასოების ცხრილი, ასევე იმ ობიექტთა ვიზუალური გამოსახულება, რომლის სახელიც არის ცხრილში მოცემული. მას კი ევალება სიტყვების პოვნა და მონიშვნა.

	იხვი	ნ	ბ	კ	ე	ვ	ე	ლ	ა
	ბაჭი	ნ	ო	ვ	ი	ხ	ვ	ი	ა
	თევზი	ჭ	ლ	ქ	კ	დ	ო	რ	ი
	კატა	ბ	თ	ე	ვ	ზ	ი	კ	ო
	დათვი	ბ	ბ	ა	ყ	ა	ყ	ი	ფ
	ღორი	ჭ	კ	მ	დ	ა	თ	ვ	ი
	ბაყაყი	ბ	ა	ც	ი	ა	ბ	დ	რ
	პეპელა	კ	ბ	ა	დ	კ	ა	ც	ა

ლაბირინთები - ამოუბეჭდეთ ბავშვს ლაბირინთების სავარჯიშოები და ავარჯიშეთ. იხილეთ ინტერნეტ რესურსი, საიდანაც შეგიძლიათ გადმოწეროთ:

<http://krazydad.com/mazes/index.php?fmt=IM> (6-8წ.)

<http://krazydad.com/mazes/index.php?fmt=CH> (8-9წ.)

ყურადღების გაუმჯობესებისათვის, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ბავშვს შეუქმნათ მაქსიმალურად მშვიდი და კომფორტული გარემო. შეეცადეთ, რომ მის ირგვლივ არ იყოს ბევრი ზედმეტი ნივთი, ხმაური ან რაიმე ისეთი, რაც მის ყურადღებას მიიპყრობს. ყურადღების უნარის გავარჯიშებისთვის შესაძლებელია შემდეგი სტრატეგიებისა და აქტივობების განხორციელება:

ინსტრუქციების შესრულება - ბავშვს ეუბნებით სწრაფად რაიმე მოქმედების შესასრულებელ ინსტრუქციას, მან უნდა მოგისმინოთ ყურადღებით და ნათქვამის შემდეგ განახორციელოს მოქმედება. ქვემოთ მოცემულია მაგალითები. 3 საფეხურიანი:

- ❄ შეეხე ფეხს, მუხლს, თავს
- ❄ ახტი, მოკეცე ფეხი, დატრიალდი
- ❄ ხელები ზემოთ, თვალი დახუჭე, ახტი
- ❄ ახტიერთფეხზე, ხელიმოკიდეყურს, თქვი „გამარჯობა“

4 საფეხურიანი:


- ❄ ხელები ასწიე, ენა გადმოყავი, ახტი, დაჯექი
- ❄ შეეხე მუხლს, გაიცინე, დაუკარი ტაში, დააქნიე ხელი
- ❄ ადექი, დახუჭე თვალები, დაუკარი ტაში, ცხვირს მოკიდე ხელი

მოკლე ისტორიების მოთხრობების დეტალები - ბავშვს უკითხავთ ან უყვებით მცირე ზომის მოთხრობას, ისტორიას. მან უნდა მოგისმინოთ ყურადღებით, შეეცადოს დაიმახსოვროს და შემდეგ უპასუხოს თქვენს შეკითხვებს. მაგ: „გოგონას ეცვა ლურჯი კაბა, წითელი ქუდი ეხურა, ხელში იასამნის, გვირილისა და ღილილოსგან გაკეთებული ყვავილების კონა ეჭირა.“ შემდეგ ეკითხებით: რა ყვავილები ეჭირა? რა ფერის იყო კაბა? ქუდი?


აზროვნების უნარის გაუმჯობესებისათვის ყურადღება გაამახვილეთ შემდეგ საკითხებზე:

- ✓ ასწავლეთ ფერების გარჩევა და ცნობა;
- ✓ ასწავლეთ სხვადასხვა კატეგორიებში შემავალი ობიექტები, ცხოველები, ფრინველები, ავეჯი და ა.შ.;
- ✓ ესაუბრეთ და აჩვენეთ სხვადასხვა საგნის ფუნქციებსა და დანიშნულებებზე, მაგალითად, რისთვის გვჭირდება გასაღები, ასანთი და ა.შ.;
- ✓ დაეხმარეთ ანტონიმებისა და სინონიმების სწავლაში. გამოიყენეთ ვიზუალური მასალა და კონკრეტული მაგალითები. როცა ასწავლით „სწრაფი- ნელი“, სთხოვეთ ბავშვს თქვენთან ერთად განახორციელოს ეს მოქმედებები, უთხარით, რომ კურდღელი სწრაფად დაბტის, კუ კი ნელა დადის;
- ✓ შეეცადეთ აუხსნათ მიზეზშედეგობრივი კავშირები, სიტყვიერი ახსნის შემდეგ აჩვენეთ პრაქტიკულად, მაგალითად, თოვლის დნობა, წყლის ადუღება, ყვავილის მორწყვა და ა.შ.

მეოთხე ზედმეტი ფიგურის გამოყოფა - მიაწოდეთ ბავშვს სავარჯიშო, მიწოდებულ სურათებში ერთ-ერთი მათგანი დანარჩენისაგან განსხვავებულია. სთხოვეთ ბავშვს იპოვოს ის და დაეხმარეთ სიტყვიერად დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება.



მსგავსი ფიგურების პოვნა - ბავშვს მიაწოდეთ სავარჯიშო, რომელშიც მან ერთმანეთის მსგავსი ფიგურები უნდა იპოვოს, თავდაპირველად შესაძლებელია იდენტური ფორმის სურათების ამოცნობა ვთხოვოთ, შემდეგ კი ერთმანეთთან ფუნქციურად დაკავშირებული საგნების.



მსგავსებისა და განსხვავებების სავარჯიშოები შეგიძლიათ იხილოთ მოცემულ ბმულზე:

<https://www.allkidsnetwork.com/preschool/same-different-worksheets.asp>

$$\begin{array}{|c|} \hline a \\ \hline b \\ \hline \end{array} = \begin{array}{|c|} \hline a \\ \hline b \\ \hline \end{array} \quad \left| \quad \begin{array}{|c|} \hline x \\ \hline y \\ \hline \end{array} = \begin{array}{|c|} \hline x \\ \hline y \\ \hline \end{array} \begin{array}{|c|} \hline x \\ \hline y \\ \hline \end{array} \begin{array}{|c|} \hline x \\ \hline y \\ \hline \end{array} \begin{array}{|c|} \hline x \\ \hline y \\ \hline \end{array}$$

მოიფიქრე სიტყვები - დაუსახელეთ ბავშვს რომელიმე ბგერა და სთხოვეთ, რომ ჩამოთვალოს მასზე დაწყებული რაც შეიძლება მეტი სიტყვა.

სიტყვათა განმარტებები - დაუსახელეთ ბავშვს სიტყვა და სთხოვეთ, რომ თავისი სიტყვებით ახსნას ის. შემდეგ კი გაცვალეთ როლები, ბავშვი ამბობს სიტყვას და მშობელი ხსნის მის მნიშვნელობას.

ვიზუალური ანალოგიები - ბავშვს დავალების ფურცელზე გამოსახული აქვს ფიგურა, რომელიც გარკვეული წესით/კანონზომიერებით გარდაიქმნება. მას ევალება, რომ დააკვირდეს ნიმუშის გვერდით მოცემულ პასუხების ალტერნატივებს და იპოვოს მსგავსი წესით გარდაქმნილი ფიგურები. მაგ: დააკვირდი მარცხენა მხარეს მოცემულ ფიგურებს, იპოვე იგივე წესის დაცვით წარმოდგენილი ფიგურა.

ვერბალური ანალოგიები - მიაწოდეთ ბავშვს წერილობითი სახით მოცემული ანალოგიები, მას ევალება, რომ მიწოდებულ სიტყვებს შორის დაამყაროს მიმართებები და შემდეგ იმავე კანონზომიერებით იპოვოს მსგავსი სიტყვები. მაგ.:

ბნელი : ნათელი

პაცარა:

- ☐ გაბრაზებული
☒ დიდი
☐ წვიმიანი

მეხსიერების რამდენიმე სახე არსებობს. იმის მიხედვით, თუ რა გზით უნდა დაიმახსოვროს ბავშვმა მიწოდებული მასალა, გამოყოფენ მხედველობით და სმენით მეხსიერებას. ხოლო დამახსოვრების ხანგრძლივობის მიხედვით განასხვავებენ ხანმოკლე და ხანგრძლივ მეხსიერებას. ქვემოთ განვიხილავთ იმ აქტივობებს, რომლის გამოყენება შეუძლია მშობელს ბავშვისათვის აღნიშნული უნარის გასავითარებლად.

უშინაარსო მარცვლების დამახსოვრება - ბავშვს ეუბნებით მარცვლებს, ისე რომ არ გამოვიდეს რაიმე სიტყვა, მას ევალება, რომ გაიმეოროს. მაგ: სი დო ვე რა ნო; კა ტო ვრემ ლი.

ტაშის რიტმის დამახსოვრება - უკრავთ ტაშს სხვადასხვა რიტმით, ბავშვს ევალება, რომ გაიმეოროს თქვენ შემდეგ. კაკუნის რაოდენობის დამახსოვრება - რაიმე ჯოხით, ფანქრით აკაკუნებთ მაგიდაზე, ბავშვს ევალება, რომ დაითვალოს კაკუნის რაოდენობა.

ციფრების დამახსოვრება - უთხარით ბავშვს ციფრების გარკვეული თანმიმდევრობა, შემდეგ კი სთხოვეთ გაიმეოროს. თანდათან გაზარდეთ მოსმენილი ციფრების რაოდენობა.

სიტყვების დამახსოვრება - ბავშვს დალაგეთ მაგიდაზე სხვადასხვა საგნები ისე, რომ ვერ ხედავდეს. შემდეგ დაუსახელეთ რამდენიმე მათგანი, აჩვენეთ და სთხოვეთ ამოიცნოს ისინი, რომლებიც დაასახელეთ.

შეუსაბამო წინადადება - ბავშვს წაუკითხეთ რამდენიმე წინადადება, შემდეგ კი აჩვენეთ სურათი და მან უნდა გაიხსენოს, რომელი წინადადება არ არის დაკავშირებული სურათთან. თავდაპირველად შესაძლებელია არა წინადადებების, არამედ სიტყვების გამოყენება.

	ძაღლს სუნი სცემს
	ძაღლს სძინავს
	ძაღლს აქვს შავი კოპლები

სიტყვების მავთი - წაუკითხეთ რამდენიმე წინადადებიანი მოკლე ისტორია და შემდეგ დაუსვით ბავშვს ერთი ფაქტობრივი შეკითხვა. (ქვემოთ მოცემულია მაგალითი, სადაც ნაჩვენებია მარტივი და შედარებით რთული ვარიანტები)

მარი დასაწოლად ემზადება, ჯერ გაიხადა მაისური, გაიხეხა კბილები და დაწვა	ნიკა გაცივდა. მას აცემინებს, ყელი სტკივა და სიცხე აქვს
რა გააკეთა მარიმ პირველად?	რა სიმპტომები აქვს ნიკას?

ფერი და ფორმა - ბავშვს აჩვენეთ ცხრილი, სადაც მოცემულია სხვადასხვა ფერის გეომეტრიული ფიგურები. ის ამბობს პირველი ფიგურის ფერს, მეორე ფიგურის ფორმას. მაგალითად, მოცემული ცხრილისთვის სწორი პასუხები ასე გამოიყურება: ლურჯი, სამკუთხედი, ყვითელი, წრე, მწვანე, კვადრატი და ა.შ.

5.5. ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის ხელშეწყობა

პირველ რიგში, გასათვალისწინებელია, რომ მეტყველების სირთულეების დროს კრიტიკული, ირონიული შენიშვნები არ აუმაჯობებს ბავშვის მდგომარეობას, არამედ მან შეიძლება გამოიწვიოს კიდევ უფრო ნეგატიური შედეგები და საზიანოდ აისახოს ბავშვზე.

ეცადეთ, რომ ბავშვთან იყოთ ხშირ კომუნიკაციაში, ესაუბროთ მას მისთვის გასაგებად, საუბრის დროს თქვენთან იყოს ახლოს და არა - მოშორებულ სივრცეში. მიეცით ბავშვს საჭირო დრო პასუხის გასაცემად.

მეტყველების სტიმულირებისთვის გამოიყენეთ შემდეგი ტიპის აქტივობები და სტრატეგიები:

თვალთ კონტაქტი - ინსტრუქციის მიცემამდე დაამყარეთ ბავშვთან თვალთ კონტაქტი.

მოკლე ინსტრუქცია - ერთდროულად არ მისცეთ რამდენიმე ინსტრუქცია.

გამარტივება - ინსტრუქცია უთხარით იმ სიტყვებით, რასაც ბავშვი იყენებს მეტყველების დროს. შეეცადეთ ის იყოს მოკლე და კონკრეტული, მოერიდეთ დამატებით სიტყვებს თუ ის საჭირო არ არის.

დაყოფა - ინსტრუქცია დაყავით ნაწილებად. მაგალითად, ნაცვლად იმისა, რომ უთხრათ „აილე შენი ჩანთა, ჩაიცვი ქურთუკი და გარეთ გავიდეთ“, უთხარით „აილე ჩანთა“, მას შემდეგ რაც ბავშვი შეისრულებს ამ მოქმედებას, შემდეგ უთხარით „ჩაიცვი ქურთუკი“, ამის შემდეგ კი - „ახლა გარეთ გავიდეთ“.

გამეორება - ინსტრუქციის თქმის შემდეგ, გაამეორებინეთ ბავშვს პირველ პირში. მაგ: „ჩანთა გახსენი და წიგნი

ამოიღე, რა უნდა ქნა?“ ; წინადადების შემდეგ გააკეთეთ პაუზა და თუ ბავშვი არ გაპასუხობთ მასთან ერთად გაიმეორეთ „მე უნდა გავხსნა ჩანთა და წიგნი ამოვიღო“.

ჯერ/შემდეგ - ინსტრუქციების მიცემისას, ხშირად გამოიყენეთ ისეთი წინადადებები, რომელთა თანმიმდევრობის დაცვაა საჭირო, მაგ: „ჯერ დაიბანე ხელები და შემდეგ ჭამე“.

დაზუსტება - ასწავლეთ ბავშვს ისეთი შეკითხვის დასმა, რომელიც დაეხმარება ინსტრუქციის გაგებაში. მაგ: „შეგიძლია კიდე გაიმეორო?“, „ვერ გავიგე, კიდევ მითხარი“.

ფიზიკური დახმარება - ინსტრუქციის მიცემის დროს, აჩვენეთ მას ფიზიკურად თუ რის შესრულებას ითხოვთ. თქვენი ფიზიკური მოძრაობით, ჟესტით, ხელების მოძრაობით ის უკეთ გაიაზრებს წინადადების შინაარსს. მაგ: „დახატე წრე“ და თან თითით ჰაერში შემოხაზეთ წრის ფორმა.

ვიზუალური მინიშნება - გამოიყენეთ სურათები, მიმიკა, პოსტერი, ჟესტები მინიშნებისთვის.

აღწერა - გაახმოვანეთ ის მოქმედებები, რომელსაც ბავშვი ასრულებს ყოველდღიურ ცხოვრებაში. მაგალითად, როდესაც სათამაშოებს ალაგებს, უთხარით: „ჩაალაგე

სათამაშოები ყუთში“, „გაიხადე ფეხსაცმელი“, „ჩააწყვე ფეხსაცმელი კარადაში“ და ა.შ.

შეამცირეთ ხმაური - შესაძლოა გარემოში არსებული ხმაური კიდევ უფრო ხელს უშლიდეს ბავშვს მოსმენილი წინადადებების გააზრებაში. შეეცადეთ, მაქსიმალურად შეამციროთ ოთახში არსებული ხმაური.

პირისპირ ყოფნა - როდესაც ბავშვს ელაპარაკებით თქვენი სახე მოაქციეთ მისი სახის პირისპირ.

ვიზუალიზაცია - შეგიძლიათ შექმნათ ვიზუალური მიმანიშნებლების სისტემა, რომელიც ბავშვს დაეხმარება ქცევის ორგანიზებაში. ეს შეიძლება იყოს ყოველდღიური აქტივობების ვიზუალური განრიგი ან ისეთი ზოგადი სიმბოლოები, როგორიცაა „X“ - რაც აკრძალვას გულისხმობს.

წიგნები - წაუკითხეთ ბავშვს მარტივი მოთხრობები და დაუსვით შეკითხვები ტექსტიდან.

დასახელება - ლექსიკური მარაგის გაზრდისთვის გამოიყენეთ დასახელებების აქტივობა. ეს შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ ადგილას, მაგალითად, ქუჩაში სეირნობისას, რიგ-რიგობით უნდა ჩამოთვალოთ ის საგნები, ნივთები, ობიექტები, რასაც ხედავთ.

ყოველდღიური აქტივობების მოყოლა - გაახსენეთ უახლოეს წარსულში მომხდარი მოვლენები და შეეცადეთ ბავშვმა ისაუბროს მის შესახებ. „რა მოხდა დღეს სკოლაში?“ - არის ძალიან ზოგადი და ბუნდოვანი ფრაზა, შეეცადეთ ბავშვს დაუსვით უფრო კონკრეტული შეკითხვები.

ახალი სიტყვების ახსნა - თუ ამჩნევთ, რომ რაღაც სიტყვას ბავშვი ვერ გებულობს, აუხსენით ის სხვადასხვანაირად.

„ნიკუშამ თქვა“ - ეს არის თამაში, რომლის დროსაც ბავშვი სწრაფად ასრულებს ინსტრუქციებს. თავიდან დაიწყეთ ერთბაშისანი მოქმედებებით: „ნიკუშამ თქვა - ხელი მოკიდე შენს ფეხს“, შემდეგ უკვე გაართულეთ „ნიკუშამ თქვა - ჯერ ხელი მოკიდე შენს ფეხს, შემდეგ კი თვალები დახუჭე“.

გარემოში არსებული ნივთების აღწერა სხვადასხვა კუთხით - აუხსენით, განუმარტეთ ბავშვს სხვადასხვა სიტყვები და გამოიყენეთ ისეთი მახასიათებლები, როგორებიცაა ზომა, ფორმა, ფერი, ფუნქცია.

გრამატიკა - ასწავლეთ შემდეგ სიტყვების გამოყენება-ვინ? რა? სად? როდის? როგორი? რატომ?

სიტყვების გამოცნობა - ჩაიფიქრეთ სიტყვა, აღწერეთ ძირითადი მახასიათებლების მიხედვით, ბავშვმა უნდა გამოიცნოს ჩაფიქრებული სიტყვა. მაგ.: ცხოველია, ზამთარში ძინავს, უყვარს თაფლი (დათვი).

გააუზგოზესეთ მოსმენა - მოასმენინეთ ზავშეს მუსიკა, სხვადასხვა ხმები - უნდა გამოიცნოს რომელი ცხოველის ხმაა. უთხარით სიტყვები სხვადასხვა ტონით.

სივრცითი მიმართებების სწავლება - ასწავლეთ სივრცითი მიმართებების აღმნიშვნელი სიტყვები და თანდებულები - ზემოთ, ქვემოთ, გვერდით, შუაში/შორის, წინ, უკან, მარჯვნივ, მარცხნივ, -ზე, -ში, -თან.

მოქმედებათა თანმიმდევრობის სწავლება - სურათების თანმიმდევრობით დალაგება და აღწერა (რის მერე რა მოხდა).

დასკვნების გაკეთების უნარის გაუზგოზესება - წინა-დადებაში „თუ-მაშინ“ მიმართების გამოყენების სწავლება. (მაგ.: თუ იწვიმებს და ქოლგა არ მექნება...(მაშინ) დავსველდები).

თერმინთა განმარტება

აღქმა არის შეგვრძნების ორგანოებიდან მიღებული ინფორმაცია (მხედველობა, გემო, ყნოსვა, შეხება, სმენა), რომელიც გვეხმარება საგნების და მოვლენების წვდომაში.

ადაპტური უნარები დამოუკიდებლად და სრულყოფილად ცხოვრებისათვის საჭირო უნარებია. ის მოიცავს: თვითმოვლის, სოციალური ურთიერთობებისა და ცხოვრებისეულ სიტუაციებში დამოუკიდებლად ფუნქციონირების უნარებს.

არავერბალური უნარები ისეთი უნარებია, რომელთა გამომჟღავნება სიტყვების გარეშე, ქესტით, მიმიკით, მოქმედებითაა შესაძლებელი.

გენერალიზება არის ათვისებული უნარის გამომჟღავნება და გამოყენება სხვადასხვა გარემოსა და სიტუაციებში.

ენა ისეთი სიტყვებისა და სიმბოლოების (ზგერები, ასოები, ქესტები) ორგანიზებული სისტემაა, რომლებსაც მნიშვნელობები გააჩნიათ. იგი საშუალებას იძლევა ფიქრები, იდეები და გრძნობები სხვებისთვის გასაგები შეტყობინებებით გამოიხატოს.

ექსპრესიული ენა გულისხმობს აზრების, სურვილებისა და მოთხოვნების სიტყვიერად გადმოცემას. მოიცავს სახის გამომეტყველებას, ჟესტებს, სიტყვათა მარაგს, თხრობისა და გრამატიკული წესების დაცვის უნარს. იმპრესიული მეტყველება კი მოსმენილის შინაარსის გაგებას გულისხმობს.

ვიზუალური უნარები გულისხმობს ადამიანის მიერ დანახულის აღქმას, ინტერპრეტაციასა და მნიშვნელობის მინიჭებას.

ვერბალური უნარები არის ინფორმაციის სიტყვიერად გადაცემის გზები.

ვერბალური და არავერბალური სუბტესტები - ინტელექტის ტესტის ქვესკალები. ინტელექტის საკვლევი ტესტის ჩატარებისას IQ კოეფიციენტი მიიღება ვერბალური და არავერბალური სუბტესტების გაერთიანებით. ვერბალური სუბტესტი აფასებს ბავშვის მოსმენისა და გაგების უნარს - რამდენად შეუძლია დაეყრდნოს ფორმალური და არაფორმალური განათლებიდან მიღებულ ცოდნას, გააკეთოს შესაბამისი დასკვნა და საკუთარი აზრები გამოხატოს ხმამაღლა. არავერბალური სუბტესტი აფასებს ბავშვის მიერ პრობლემის გადაჭრის უნარს - რამდენად შეუძლია დაეყრდნოს ვიზუალურ-მოროტულ და ვიზუალურ-სივრცით უნარებს. მათზე დაყრდნობით

მოახდინოს საკუთარი აზრების ორგანიზება, გადაწყვეტილებათა მიღება და მათი პრაქტიკაში გამოყენება.

თვითრეგულაცია ბავშვის განვითარებაში გულისხმობს მისი ქცევების, აზრებისა და ემოციების კონტროლის უნარს.

იმპულსის კონტროლი გარკვეული ქცევისაგან თავის შეკავების ან ქცევის ტემპის რეგულირების უნარია. თამაში „გაშეშობანა“ იმპულსის კონტროლის მაგალითია, რომლის დროსაც ბავშვს უწევს შეაჩეროს მოძრაობა.

კონსტრუქციული თამაში წარმოადგენს ისეთ თამაშს, რომლის დროსაც სხვადასხვა ნივთების გამოყენებით აიწყობა და შენდება რაიმე. კონსტრუქციული სათამაშოა კუბიკები, ფაზლი და ა.შ.

კოგნიცია არის შემეცნება. ის მოიცავს ინფორმაციის გამომუშავების სხვადასხვა ოპერაციათა ერთობლიობას, დაწყებული ინფორმაციის მიღებით და დასრულებული მისი ორგანიზება და ინტერპრეტაციით.

მეტაბოლიზმი არის ის ქიმიური პროცესები, რომელიც მიმდინარეობს ადამიანის ორგანიზმში. ნივთიერებათა ცვლის და გადამუშავების ეს პროცესი აუცილებელია ადამიანის სიცოცხლისთვის.

ოკუპაციური თერაპევტი არის პროფესიონალი, რომელიც მუშაობს ადამიანთან მისი სოციალური და პრაქტიკული უნარების შეფასებისა და განვითარების კუთხით, რათა ინდივიდი ეფექტურად ჩაერთოს სხვადასხვა აქტივობებში და უკეთესად იფუნქციონიროს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

სტიგმა არის ფიზიკური ან სოციალური ნიშნით ინდივიდის დისკრიმინაცია, გამოყოფა. უკმაყოფილება მისი იმ უნიკალური თავისებურებით, რომლითაც იგი განსხვავდება სოციალური გარემოსგან.

სტერეოტიპული ქცევა არის განმეორებითი მოძრაობა, მდგომარეობა ან სიტყვების გადმოცემა, რომელიც შესაძლოა დამახასიათებელი იყოს ინტელექტუალური დარღვევისთვის, აუტისტური სპექტრისთვის თუ სხვა ზოგიერთი განვითარების დარღვევისთვის. სტერეოტიპული ქცევა შეიძლება იყოს ისეთი მარტივი მოძრაობა, როგორიცაა სხეულის რწევა-ქანაობა.

სენსორული ინტეგრაცია არის არაცნობიერი პროცესი. ის გულისხმობს სხვადასხვა შეგრძნების არხიდან (მხედველობა, ყნოსვა, სმენა და ა.შ.) მიღებული ინფორმაციის აღქმას, გაფილტვრას, ორგანიზებას, ინტერპრეტაციასა და შემდგომში სწორად რეაგირებას.

სტანდარტიზებული ტესტი შედგენილია პროფესიონალების მიერ. ის ეყრდნობა ნორმას ანუ გარკვეული ჯგუფის-

თვის დადგენილ საშუალო მაჩვენებელს, რომელთანაც ხდება თითოეული ადამიანის მიერ მიღებული შედეგის შედარება.

ტერატოგენი არის ფაქტორი, რომელიც არღვევს ნაყოფის ნორმალურ განვითარებას. ტერატოგენებია: ზოგიერთი მედიკამენტი, კოფეინი (ყავა, ჩაი, კაკაო, კოლა), ნარკოტიკული ნივთიერებები, თამბაქო, ალკოჰოლი, გარემოს დაბინძურება (ქიმიკატები, რადიაცია), ინფექციური დაავადებები (წითურა, შიდსი, ჰერპესი). ტერატოგენებით გამოწვეული ზიანი საკმაოდ რთული ბუნებისაა და დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე.

ფსიქოგანათლება გულისხმობს სპეციალისტის მხრიდან განვითარების დარღვევის შესახებ სწორი და საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, როგორც ბავშვისთვის, ასევე მშობლებისთვის.

ცენტრალური ნერვული სისტემა აკონტროლებს სხეულის ყველა მოქმედებას, როგორც შინაგანს, ასევე - გარეგანს. ცენტრალური ნერვული სისტემა მოიცავს თავის ტვინსა და ზურგის ტვინს.

DSM არის სახელმძღვანელო, რომელშიც თავმოყრილია სხვადასხვა მდგომარეობების სადიაგნოსტიკო კრიტერიუმები. თითოეულ მდგომარეობას აქვს თავისი კოდი, რომლის გამოყენებითაც სვამს სპეციალისტი დიაგნოზს.

სახელმძღვანელო ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის მიერაა გამოშვებული და ბოლო ვერსია არის DSM_V.

ICD დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის სახელმძღვანელოა. მასში, ისევე, როგორც DSM-ში მოცემულია სხვადასხვა მდგომარეობების კრიტერიუმები, რომლებიც გამოიყენება დიაგნოზის დასმის პროცესში. ICD ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერაა შემუშავებული. 2018 წელს ICD-ის 11-ე განახლებული ვერსია გამოიცა.

IQ არის ინტელექტის კოეფიციენტი. ეს არის ქულა, რომელსაც ადამიანი იღებს ინტელექტის ტესტის შესრულების შედეგად და მიღებული ქულა განსაზღვრავს მის გონებრივ შესაძლებლობებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Ali A., Blickwedel J., & Hassiotis A., “Interventions for challenging behaviour in intellectual disability”, University College London, 2014
- Bazzano A., Nelson B., “Realizing the Bright Future of Your Child with an Intellectual Disability, A Guide for New Parents”, 2015
- Baesler K., “Guidelines: Intellectual Disabilities in Educational Settings”., United States Department of Education, Office of Special Education Programs, 2004
- Bray A., Grad D., “Definitions of Intellectual Disability”., 2003
- British Institute of Learning Disabilities “Factsheet: Self Injurious Behaviour”., Birmingham Research Park, 2009
- Carroll E., Tynan D., McAuliffe M. “Parenting tips-Planned Ignoring”, 2009
- Connecticut State Department of Education., “Guidelines for Identifying Children with Intellectual Disability”, 2007
- Katona L.A., Bassingthwaite B., “Effective Behavior Strategies for Children with Intellectual/ Developmental Disabilities”, Association of University Centers on Disabilities (AUCD) Webinar, 2017
- NICE guideline., “Challenging behaviour and learning disabilities: prevention and interventions for people with learning disabilities whose behaviour challenges”, 2015
- Kenway P., “A parents’ guide to the investigation of intellectual disability / developmental delay in children”., Cambridge, 2017
- McIntyre L.L. “Parent Training Interventions to Reduce Challenging Behavior in Children with Intellectual and Developmental Disabilities”, Department of Special Education and Clinical Sciences, University of Oregon, Eugene, OR, USA, 2017
- Olsson L., “Children with mild intellectual disability and their families – needs for support, service utilisation and experiences of support”, Jönköping University, 2016
- Parmenter T., R., “What is Intellectual Disability? How is it Assessed and Clas-

sified?”, International Journal of Disability Development and Education ., 2015

- Purugganan O., “Intellectual Disabilities” ., Department of Pediatrics, Columbia University Medical Center, New York., 2018
- The State of Queensland., “My child has an intellectual disability: Information for Queensland families of young children”, 2014
- Ziebart B., “Supporting Parents as active partners in the education of their children with intellectual disability”, Australia, 2005
- Xiaoyan K., Jing L., “Intellectual Disability”, International Association for Child and Adolescent Psychiatry and Allied Professions., 2012
- Isaac Kandel, Joav Merrick – The child with a disability: Parental Acceptance, Management and Coping, 2007.
- Yi-Juin Liu. “Chapter 1 Early identification/intervention: The Earlier the better for students with disabilities” In Current Issues and Trends in Special Education: Identification, Assessment and Instruction. 2015;
- Special Olympics, Young Athletes – Realizing the bright future of your child with an Intellectual Disability, A Guide for new parents.
- Barbara Lowenthal – Early Child Development and Care, Teaching adaptive skills to Young children with disabilities, 2006.
- Oscar Purugganan – Intellectual Disabilities, 2016
- <https://www.pinterest.com/pin/10485011612538118/?lp=true>
- <http://dictionary.css.ge>
- www.nplg.gov.ge

